კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტის

გვანცა ამბარდნიშვილის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„მედიაცია როგორც დავის მოგვარების საუკეთესო ალტერნატივა“

ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი ასოცირებული და პროფესორი ნინო ხუნაშვილი

(ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

თბილისი

2021

ანოტაცია

საქართველოში მესამე ნეიტრალური პირის დახმარებით კონფლიქტის მშვიდობიანი რეგულირება დიდი ხანია ცნობილია. მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა. იგი ცნობილია, როგორც ,,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“ მოლაპარაკების გზით. მედიაცია წარმოადგენს პროცესს ,სადაც მედიატორი -მიუკერძოებელი პირი - მოდავე მხარეებს და კანონიერ წარმომადგენლებს ეხმარება მათ შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებაში. ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, ხაზგასმით გადმოცემული იქნება მედიაციის ისტორიული განვითარება და მისი მნიშვნელობა. განსაზღვრული იქნება მისი როგორც დადებითი,ისე უარყოფითი მხარეები. ცალკე განვიხილავ როგორც ქართული, აგრეთვე კანადური მოდელების მედიაციას. ნაშრომში გაეცნობით საქართველოს მედიაციის განვითარების ისტორიულ მომენტებს და სავალდებულო სასამართლო მედიაციის ასპექტებს, საქართველოსა, კანადის და აშშ-ს მოდელის მაგალითზე. ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის შექმნიდან, კერძოდ, 2013 წლიდან ამ დრომდე მედიაციაზე გადაცემულ საქმეთა რაოდენობის სტატისტიკა, რომელიც გამოვითხოვე თბილისის საქალაქო სასამართლოდან. ნაშრომის მიზანია სავალდებულო და საოჯახო მედიაციის განვითარების საკითხების გაანალიზება და მათი საზოგადოებისთვის დადებითი კუთხით გაცნობა.აგრეთვე სამართლებრივი, პრაქტიკული და თეორიული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც საინტერესო იქნება როგორც იურისტებისთვის, ასევე მედიაციით დაინტერესებული პირებისთვის.

Annotation

The peaceful regulation of a conflict helping the third party person in Georgia is known for a long time. Mediation is one of the method of resolving disputes/disagreements known as Alternative Dispute Resolution. Mediation is a process of arrangement, where mediator, a neutral person, assists the confronted parties, or their representatives to settle the conflict, formed between them. In my thesis for master's degree will be accented the historical development of mediation and its importance, will be discussed family mediation, its advantages and disadvantages. I will describe the Georgian and Canadian models of mediation. You will master's degree will be accented the historical development of mediation and its importance, will be discussed family mediation, its advantages and disadvantages. I will describe the Georgian and Canadian models of mediation. You will learn more about the historical moments of the Georgian mediation development and compulsory court mediation based on the examples of the Georgian and Canadian models. In my work I have presented the statistics of the number of cases submitted to the mediations since the establishment of the Mediation Center of the Tbilisi City Court, particularly from 2013 to the present day, which I requested from the Tbilisi City Court. The aim of this thesis is to analyze compulsory and family mediation development and to introduce its advantages to the society, as well as to work out the legal, practical and theoretical recommendations, which will be equally interesting for lawyers and for people interested in mediation.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

სარჩევი 4

ტერმინოლოგია და განმარტებები 6

შესავალი 7

თავი 1. მედიაციის არსი და მედიაციის პროცესი 9

1.1. მედიაციის არსი 9

1.2. მედიაციის პროცესი 10

1.3. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები 14

1.3.1. სასამართლო მედიატორი და მისი აცილება . 15

1.3.2. სასამართლო მედიაციის ვადები და მისი მნიშვნელობა სასამართლო მედიაციის პროცესში 17

1.4. სავალდებულო (სასამართლო) მედიაციის ურთიერთმიმართება არასასამართლო მედიაციასთან 18

1.5. სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები 19

1.6. მედიაცია საოჯახო საქმეებზე 24

1.7. ნებაყოფლობითობა, როგორც მედიაციის სავალდებულო კომპონენტი 33

თავი 2. ქართული მედიაციის ისტორია და ამჟამინდელი პრობლემები 37

2.1. ქართული მედიაციის ისტორიული გამოცდილება 37

2.2 ქართული მედიაციის პრობლემები 38

2.3 საქართველოს სავალდებულო სასამართლო მედიაცია 40

თავი 3. მედიაციის ამერიკული და კანადური მოდელი 43

3.1. მედიაცია ამერიკაში 43

3.2. მედიაციის ინსტიტუტის ისტორიული განვითარება აშშ-ში 45

3.3. მედიაციის მოდელები 48

3.4. შუამავლობის პროცესი და სამართალწარმოება 50

3.5. მედიაცია კანადაში 52

3.6. მოდალური კანონი მედიაციის შესახებ 57

3.7. მედიაცია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში 61

დასკვნა *67*

გამოყენებული ლიტერატურა: *73*

უცხოენოვანი ლიტერატურა 74

ინტერნეტ რესურსი 75

ტერმინოლოგია და განმარტებები

ADR - ალტერნატიული დავების გადაწყვეტა CCMA --- კომისიის შერიგების, შუამავლობისა და საარბიტრაჟო კომისია

CJRP - სამოქალაქო სამართლის რეფორმის პროექტი

DiSAC - დავების გადაწყვეტის აკრედიტაციის საბჭო

DoJ & CD - იუსტიციის დეპარტამენტი და კონსტიტუციური განვითარება

LRA - შრომითი ურთიერთობების შესახებ კანონი

SETA - კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი

შესავალი

არ არსებობს თანამედროვე საზოგადოება რაიმე სახის დავის ან უთანხმოების გარეშე. ამ დავების მოგვარებისკენ მიმავალ პროცესს აუცილებლად სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მედიაცია, როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმი, არ არის უცხო კონცეფცია. მას დიდი ისტორიული წარსული აქვს. მედიაცია დაახლოებით იმდენი ხანია არსებობს, რამდენი ხანიც არსებობს ადამიანთა ორგანიზებული საზოგადოება. ის სავარაუდოდ უფრო ძველია, ვიდრე პირველი სასამართლო სისტემა და ამიტომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მოდელი საერთო სასამართლოების შესაქმნელად. უფრო მეტიც, დავის მოწესრიგების, მოგვარების ეს არაოფიციალური მოდელი დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში. ჩვენი სასამართლოები მრავალი თვალსაზრისით არ ფუნქციონირებენ ისე ეფექტურად, როგორც ჩვენ ვისურვებდით და ეს უარყოფით გავლენას ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, განსაკუთრებით ჩვენს საზოგადოებაში, ღარიბი და დაუცველი მოსახლეობის თვალსაზრისით. თუ ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცევა, შეიძლება მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობა შეირყეს. სასამართლო სისტემის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს იუსტიციის სისტემის საფუძვლების გადახედვა. მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა. მიუხედავად საზოგადოებაში არსებული ნდობის ფაქტორის სიმცირისა, მოცემული ალტერნატივის არსებობა დღევანდელ რეალობაში ერთ-ერთ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენს. მედიაციის პროცესში მხარეებს არანაირი შემხებლობა არ აქვთ სასამართლო სისტემასთან. ეს კიდევ ერთი დადებითი ფაქტორია, რადგან სასამართლოს იცავს გადატვირთულობისგან. ნაშრომში ხაზგასმულია სამართალწარმოებისა და მედიაციის პროცესებს შორის განსხვავებები. ასევე გამოვლენილია მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შუამავლობით გადაწყვეტილი სასამართლო საქმეების რაოდენობა მნისვნელოვნად იპყრობს ყურადღებას და სამოქალაქო სამართლის სისტემაში მედიაციის უფრო ფართო დანერგვაზე მიგვითითებს. კვლევის

მიზანია, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან (განსაკუთრებით მედიაციასთან დაკავშირებით ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა. დაინტერესებულ პირებს გავაცნოთ საოჯახო მედიაციის უპირატესობა დავის მოგვარებაში. სასამართლო სავალდებულო მედიაციის შესახებ კანონში არსებული ხარვეზების შესწავლა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

თემის აქტუალობა გამოიხატება იმაში,რომ შედარებითი სამართლებრივი კვლევისათვის არჩეულ იქნა ის ქვეყნები, სადაც მეტად არის განვითარებული მედიაციის სფერო სამოქალაქო საპროცესო კუთხით და ჩამოყალიბებულია სავალდებულო მედიაცია.ყოველივე ეს ფასეული იქნება ქართული სამართლებრივი საზოგადოებისათვის, რადგან ნათლად გამოჩნდება სავალდებულო მედიაციის დადებითი მხარეები. ამ მიზნის მისაღწევად ჩამოვაყალიბე შემდეგი კვლევითი ამოცანები: 1) მედიაციის კონცეფციის გაანალიზება, 2) მედიაციის პრინციპების სისტემის შესწავლა, 3) შუამავლობის ტიპებისა და მოდელების შესწავლა, 4) მედიაციის ორგანიზაციული და პროცედურული ასპექტების ანალიზი; 5) მედიაციის ინტეგრაციის შესაძლებლობების დადგენა. 6) შევიმუშავე და წარმოვუდგენ სასარგებლო რეკომენდაციებს სამოქალაქო იურისდიქციის სფეროს, მედიაციის შემდგომი განვითარების მიზნით. კვლევის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა ზოგად სამეცნიერო, სპეციალურ სამართლებრივი, ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

თავი 1. მედიაციის არსი და მედიაციის პროცესი

1.1. მედიაციის არსი

რთულია მედიაციის ტერმინის ზუსტი განსაზღვრების მოძიება.ეპოქების ცვლილებისას ჩამოყალიბდა დავის მოგვარების სხვადასხვა მეთოდები და ფორმები, სადაც მოლაპარაკების პროცესს ეხმარება მედიაცია,რომელსაც წარმართავს მედიატორი. მედიაციის განმარტებას ზოგადად აყალიბებენ შემდეგ ნაირად:

1) მათ მიაჩნით რომ ეს პროცესი წარადგენს ორივე მხარეს პრობლემების ფონზე,მათ საქმისადმი დამოკიდებულებას და ინტერესის სფეროებს.
2) სასამართლო პროცესების ანალიზის საფუძველზე მას უწოდებენ მედიატორის მოსმენის მეთოდს ,რომლის საფუძველზეც, ის საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს დავასთან დაკავშირებით და ეხმარება მათ, რომ შეთანხმებით დაასრულონ კონფლიქტი.
3) პროცესი, რომლის დროსაც მოდავე მხარეებს შორის დაპირისპირებას არეგულირებს პროფესიონალი სხვა მხარე.

მედიაციის ამ ჩამოთვლილი სხვადასხვა დახასიათების საფუძველზე, შეიძლება ვთქვათ,რომ მედიაციის პროცესები ძირითადად დგას მოპირისპირე მხარეთა ნება-სურვილზე. მიუხედავად იმისა,რომ მედიატორს ყოველთვის არ შეუძლია დავის ბოლომდე მოგვარება, ის ცდილობს ყველანაირი საშუალებებით მათ შერიგებას შეთანხმების საფუძველზე.

კონფლიქტების მონიტორინგისათვის, მედიაციის დროს, კარგი შედეგის მომცემია მხარეთა მართვადი ემოციები, სასამართლო პროცესთან შედარებით, რადგანაც მხარეები არასტრესულ სიტუაციაში უფრო მართავენ საკუთარ ემოციებს და ეს ხდება ხშირ შემთხვევაში პრობლემის დადებითად გადაჭრის შესაძლებლობა. ე. ი. დამაჯერებლად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მედიაცია ვერ იარსებებს, კომუნიკაციის გარეშე, რადგან მხარეთა კომუნიკაციის საფუძველზე ყალიბდება ჯანსაღი აზრი,რომელიც ორივე მხარისთვის მისაღებია.

ცალკეულ ქვეყანებში ,ხუთ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით,გამოთქვამენ მოსაზრებას თუ რას ექვემდებარება მედიაცია. ესენია:

1) ნეიტრალური დამოკიდებულება;
2) გადაწყვეტილების მიღების მიმართულების ორიგინალურობის სახე;
3) მხარეების მიერ უფლებამოსილების მიცემა;
4) ნებაყოფლობითობა;
5) კონფიდენციალური დამოკიდებულება.

ამ პრინციპების გაუთვალისწინებლად მედიაცია არასრულფასოვანია და შესაბამის შედეგზე ვერ გავალთ ,ანუ ვერ მოხდება მხარეებს შორის დადებითი კომუნიკაცია. მედიაციის განხორციელება ჩამოთვლილი პრინციპების გარდა ხდება შემდეგი მიზნების გათვალისწინებით:

1) მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის საფუძველზეც მოხდება კონფლიქტის გადაწყვეტის გზების ძიება;
2) მომავალში სიტუაციების გათვალისწინებით საჭირო გადაწყვეტილების მიღება;
3) ინტერესების გათვალისწინება შედარებით უფრო სუსტი მხარის სასარგებლოდ;
4) კონფლიქტის მოგვარებისთვის საჭირო საკითხების განსაზღვრა დაპირისპირებულ მხარეებთან ერთად;
5) პრობლემის გადაჭრა ორივე მხარის სასარგებლოდ,რათა მათი სამომავლო ურთიერთობები მშვიდობიან ხასიათს ატარებდეს;
6) დადებითად წარმართული მედიაციის საფუძველზე საზოგადო პრობლემის მცირედი კუთხით მოგვარება ,ანუ თუ საკითხს განვაზოგადებთ, ერთი კონფლიქტის მოგვარებით შედარებით მნიშვნელოვან მასშტაბებზე გასვლა.

1.2. მედიაციის პროცესი

მხარეებს შორის დაპირისპირების მოწესრიგება სხვადასხვა მეთოდით რეგულირდება,რომელიც კონფლიქტის შინაარსით დგინდება და დამოკიდებულია

იმაზე ,თუ რა ურთიერთობები აქვთ მხარეებს ერთმანეთში და როგორ არიან მზად შერიგებისთვის. მეთოდები, რითაც რეგულირდება დავები , შესაძლებელია გავაერთიანოთ კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების ალტერნატიული გზის სახელწოდებით.მოცემული მეთოდებია: მედიაცია, თვითდახმარება და სასამართლო მოლაპარაკება, არბიტრაჟი და განრიდება.[1] ეს მეთოდები ძირითადად ხორციელდება მესამე პირის საშუალებით. სასამართლო რეგულაციებში მყოფი პროცესებისგან მედიაცია აბსოლუტურად განსხვავებულია,რადგანაც ის განსხვავებული პროცედურებით წარიმართება. მედიაცია ალტერნატიული გზაა დავის პროცესისა და მხარეებს შორის შეთანხმებისა. მედიაციას თუ განვმარტავთ ჩანს, რომ პროცესს სხვა მხარე წარმართავს და ასევე მას აქვს ნდობა გამოცხადებული მონაწილე მახარეთაგან და მზადყოფნას გამოხატავენ პრობლემის მოგვარებაზე.[2]

დაპირისპირებული მხარეები საფუძვლიანად არიან ჩართულები საქმეში და მათი მოქმედების დევიზია ,,მსურს შეთანხმება და ამიტომ მივმართავ დამოუკიდებელ მხარეს მედიატორს.“

დაპირისპირების ხასიათი და შინაარსი. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის რომ მოგვარდეს დავა,საჭიროა მათ ნდობა გამოუცხადონ მედიატორს, როგორც მათ შუამავალს. ის დადებითი ადამიანური თვისებებით და მაღალი პროფესიონალიზმით უნდა ხასიათდებოდეს. მის მიერ პროცესის დადებითად წაყვანა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.[3]

---

[1] ა. მახარაძე, „კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში“. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 45

[2] ქურდაძე, შალვა, ნინო ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: 2015. მერიდიანი

[3] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში . გამომცემლობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. 44გვერდი

მედიაცია ხასიათდება რამდენიმე ძირითადი მახასიათებელით, რომლებიც მედიაციის პროცესს წარმართავენ კონფედენციალურობით და ნდობით. ასევე არსებობს ძირითადი წინაპირობები ,რომლითაც ეს პროცესი ხასიათდება.

ესენია: 1)პროცესში მონაწილე მხარეების სურვილის გათვალისწინებით ხდება საქმეში მესამე , მიუკერძოებელი მხარის ჩართვა. ისინი აცნობიერებენ, რომ მედიატორი მათ მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარებათ. 2) მედიატორი ნეიტრალურუბის დაცვით აწარმოებს მოლაპარაკებებს და ეხმარება დავაში მონაწილე მხარეებს, რათა მიღებული იყოს მათ შორის სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.[4]

3) მოლაპარაკების მიმდინარეობისას აუცილებელი პირობა არის ის ,რომ მოსამართლე არ ერთვება პროცესში და მხარეთა პოზიციები არ ექვემდებარება შესაბამის კანონს. 4) აღვნიშნეთ, რომ დავის მშვიდობიანად მოგვარებისათვის[5] მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება კონფიდენციალურობა და არაფორმალური გარემოს შექმნა მხარეებისათვის . 5) მედიაციის პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია და აუცილებელი გავარკვიოთ, ღირს თუ არა მესამე პირის ჩართვა დაპირისპირებულ მხარეებს შორის,რათა უზრუნველვყოთ დროის რესურსის დაზოგვა მედიაციის პროცესის დაწყებამდე. მედიატორმა,რადგან მას საკმაოდ შრომატევადი საქმიანობის შესრულება მოუწევს, კარგად შეისწავლოს კონფლიქტის წინა პერიოდი და განსახილველი საკითხის სირთულე. მაგალითისათვის:სასურველი გარემოს შესაქმნელად მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას უნდა გამოიყოს ორი ოთახი - სასესიო და მისაღები. სასესიო ოთახის მოწყობისას უნდა გავითვალისწინოთ

[4] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. გამომცემლობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტი.
თბილისი 2013 წ. 44 გვერდი

[5] სტივენ მ.ოსტერმილერი და დილერ რ. სვენსონი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში.გამომცემლობა მერიდიანი. 2014. 149 გვ.

თითოეული დეტალი. იგი მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისად, რათა ხელი შეეწყოს მედიაციის პროცესის წარმატებით წარმართვას.

მედიაციის პროცესის ხანგრძლივობა საკითხის სირთულიდან გამომდინარე საათიდან რამდენიმე დღემდეა.

არსებობს მედიაციის პროცესის წარმართვის 6 ძირითადი ეტაპი:[6]

1. მოსამზადებელი პერიოდი- მედიატორის მეშვეობით მხარეები ეცნობიან მედიაციის პროცესის არსს, მუშაობის გეგმას, რაც მოსამზადებელი პერიოდია.

2. საკითხის განხილვა-შეხვედრა ტარდება სპეციალურად შერჩეულ გარემოში, სადაც ხდება შეხვედრის დაწყება და სადავო საკითხის განხილვა. მედიატორი განიხილავს მხარეთა მოსაზრებებს, საქმის კონკრეტულ საკითხებს და სთავაზობს მათ შესაბამის გრაფიკს.

3. შეთავაზებები და საერთო საფუძველზე ფოკუსირება - ორივე მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის დახმარებით მოდავეები აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს . მოცემული შეთავაზებების საფუძველზე მედიატორი თანამიმდევრულად ახდენს მათი შეთავაზებების შეჯამებას, მხარეთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

4. მოლაპარაკების პროცესის დაწყება - მოლაპარაკების ეტაპზე მედიატორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. იგი დაპირისპირებულ მხარეებს სთავაზობს ალტერნატივას და ახორციელებს ვაჭრობის პროცესს. შეთანხმების მიღწევის შემდეგ კი აფიქსირებს კიდეც გადაწყვეტილებას.[7]

---

[6] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. გამომცემლობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. 44

[7] სტივენ მ.ოსტერმილერი და დილერ რ. სვენსონი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში. გამომცემლობა მერიდიანი.2014.149გ

5. სწრაფვა გადაწყვეტილების მიღებისკენ-მედიატორის დახმარებით მხარეები აყალიბებენ საერთო აზრს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. მედიატორს ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული როლი აქვს. მისი დახმარებით პროცესში იკვეთება ალტერნატივები, პრიორიტეტები და მხარეები იღებენ სწორ გადაწყვეტილებას.

6. გადაწყვეტილების მიღება და მისი დოკუმენტალურად გაფორმება - ეს წარმოადგენს მედიაციის პროცესის საბოლოო ეტაპს. დასასრულს მედიატორი კიდევ ერთხელ გააცნობს მონაწილე მხარეებს მიღებულ გადაწყვეტილებას. იღებს მათგან თანხმობას და ახდენს მიღებული გადაწყვეტილების ოფიციალურად გაფორმებას.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ დაპირისპირებული მხარე, მესამე მხარის ჩართულობით, საკუთარი სურვილით აღწევს საბოლოო შეთანხმებას. მხარეები საკუთარი პოზიციების საერთო ინტერესად გარდაქმნის შედეგად მიდიან ერთმანეთთან კომპრომისზე. მიუკერძოებელი მედიატორი კი ეხმარება მათ მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. საბოლოოდ კი მათ შორის შეთანხმება სრულდება ხელშეკრულების დადებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების გაფორმებაც ნებაყოფლობითია და მას არ გააჩნია იურიდიული ძალა.

1.3. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემულია სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები. სასამართლო მედიაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სახის დავებზე:

საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობის დროს, შვილად აყვანის გაუქმებისას, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან, ანდა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა, ასევე სამემკვიდრეო სამართლებრივ და სამეზობლო სამართლებრივ დავებზე.

ნებისმიერ სხვა დავაზე – მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავა შეიძლება მედიატორს გადაეცეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე ,იმ შემთხვევაში ,თუ მხარეები გამოთქვამენ თანხმობას. თუ განისაზღვრება მედიაციის პროცესში კონკრეტული პერიოდი და მედიატორსაც ნებისმიერ ეტაპზე შეეძლება პროცესში ჩართვა ,მაშინ უმჯობესი იქნება თუ სასამართლო აღარ დახარჯავს თავის ძვირფას დროს დაპირისპირებულ მხარეთა საქმის განხილვაზე. თუკი რომელიმე მხარემ გადაწყვიტა დაიწყოს სასამართლო მედიაცია და პროცესის მსვლელობისას ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, ამის გამო ისევ სასამართლო წარმოებაში ბრუნდება საქმე, რაც რა თქმა უნდა დაკავშირებულია მხარეებისათვის დამატებით დროსა და ხარჯებთან. სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემა იწვევს საქმის განხილვის შეჩერებას, თუკი საქმე სასამართლოში დაბრუნდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით. სასამართლიოში იგი უნდა გაგრძელდეს იმ ეტაპიდან სადაც წარმოება შეჩერდა. ეს კი დროის გახანგრძლივებაა ,როგორც სასამართლოსათვს, ისე მოდავე მხარეებისათვის. მსგავს შემთხვევებში, უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს დროის ფაქტორი. გამომდინარე აქედან ,რომ სასამართლო მედიაცია ემსახურება მიზანს,რომლის მიხედვით საქმე მოდავე მხარეებს შორის უნდა მოგვარდეს დროულად და ნაკლები დანახარჯებით ,უკეთესი იქნება თუ მოცემული საკითხები კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნება და უფრო მეტადაც დარეგულირდება.

1.3.1. სასამართლო მედიატორი და მისი აცილება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია, რომ მედიატორის აცილება დასაშვებია 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს მოსამართლემ სასამართლო მედიაციაში.

აცილება იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იგი ამ საქმეში თვითონ არის მხარე. აგრეთვე იგი მოდავე მხარესთან არის დაკავშირებული რაიმე უფლებებით ან ვალდებულებებით, ან ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა როგორც, სასამართლო სხდომის მდივანი, ექსპერტი, თარჯიმანი, მოწმე, სპეციალისტი ან წარმომადგენელი, არის რომელიმე მხარის ან წარმომადგენლის ნათესავი; დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან არსებობს სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ის შესაძლოა მიკერძოებული იყოს. მითითებული მუხლის, მხოლოდ პირველი ნაწილი ვრცელდება აცილების თაობაზე, კოდექსში კი არაფერია ნათქვამი, როგორ ხდება აცილების საკითხის დაყენება, ვის მიერ, რა ეტაპზე და გათვალისწინებულია თუ არა აცილების საკითხი სასამართლო მედიატორის მიერ. შესაბამისად აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია. მისი დაზუსტება კი უნდა მოხდეს ან კონკრეტულად მუხლის დამატებით კოდექსში -სასამართლო მედიატორის თვითაცილების თაობაზე, რომელშიც ზოგადად უნდა გაიწეროს აცილების პროცედურები, თუ ვის მიერ და რა გზებით მოხდება აცილების საკითხის გადაწყვეტა, ანდა გაიწეროს თუ რომელი კოდექსის მუხლები ან პუნქტები შეიძლება გავრცელდეს მსგავსი საკითხის წარმოშობისას. გამომდინარე აქედან, აცილების საკითხის დარეგულირება და დაპირისპირებული მხარეებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება უფრო მეტ ნდობას წარმოშობს სასამართლო მედიაციის მიმართ. მნიშვნელოვანია მხარემ იცოდეს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დააყენოს საქმის განმხილველმა სასამართლომ მედიატორის აცილების საკითხი და რა ბერკეტები აქვს მას ამისათვის ,რადგან პროცესის მსვლელობისას მან არ დაკარგოს სასამართლოსადმი ნდობა და მედიატორის კვალიფიკაცურობისა და მიუკერძოებლობის საკითხი.[8]

---

[8] გიორგი ცერცვაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი . დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010

1.3.2. სასამართლო მედიაციის ვადები და მისი მნიშვნელობა სასამართლო მედიაციის პროცესში

სწორედ მედიაციის ვადების სიმცირე და მათზე დადგენილი ზღვარი მატებს ამ პროცესს მომხიბვლელობას. მედიაციის დროს საქმის განსახილველად დადენილია 45 კალენდარული დღე ,რომელიც მხარეთა შეთანხმებით მაქსიმუმ კიდევ 45 კალენდარული დღით შესაძლებელია გახანგრძლივდეს. საბოლოოდ გვაქვს მოცემულობა, რომ მაქსიმუმ 90 კალენდარულ დღეში შესაძლებელია მხარეები შეთანხმდენ და მიიღონ მათთვის სასურველი შედეგი, მაშინ როდესაც სასამართლო წარმოება უფრო მეტ დროს მოითხოვს სასურველი შედეგების მისაღებად. ვადების სიმცირე არის მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი სასამართლო მედიაციის პროცესში. მონაწილე მხარემ უნდა იცოდეს და კარგად იაზრებდეს რომ სასამართლო მედიაციის გზით საკითხის გადაწყვეტა, დიდი დროის დაზოგვასთან არის დაკავშირებული და უნდა შეეცადოს მაქსიმალურად გამოიყენოს დროის ეს რესურსი და პროცესი შეთანხმებით დაასრულოს. აღსანიშნავია,რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონმდებლობა მხარეებს ავალდებულებს მონაწილეობა მიიღონ და დაესწრონ მედიატორთან შეხვედრებს. მისი მიხედვით დადგენილია ორი შეხვედრა. რა თქმა უნდა ეს ვალდებულება გულისხმობს პროცესში მონაწილეობის აუცილებლობას და არა საკითხის შეთანხმებით დასრულების ვალდებულებას. კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია სანქცია , თუ რა შედეგი შეიძლება, მოჰყვეს დანიშნულ შეხვედრაზე გამოუცხადებლობას არასაპატიო მიზეზით. კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებულია ჯარიმა 150 ლარის ოდენობით და აგრეთვე მედიაციის ხარჯების დაფარვა მოლაპარაკების პროცესის დასრულების შედეგის დადგომის მიუხედავად. ასევე გათვალისწინებულია გამონაკლისიც ,თუ რა შემთხვევაში შეიძლება აღარ მოხდეს მხარის მიმართ სანქციის გამოყენება. გამონაკლისის არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სასამართლო

მედიაციის დროს დაცულია მხარის ინტერესი და პრიორიტეტი ამ დროს არის პიროვნება. მხარეების სანქციისაგან გათავისუფლება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოდავეებს შორის მოლაპარაკება შედგა ან/და საქმე დასრულდა მორიგებით. მთავარია მხარეები ხედავდნენ,რომ სასამართლო მედიაციისას ორივე მხარე თანაბრად მნიშვნელოვანია და ღირებული და მიმდინარე ქმედებები მხოლოდ მათ სასარგებლოდ არის შექმნილი და შემუშავებული.

1.4. სავალდებულო (სასამართლო) მედიაციის ურთიერთმიმართება არასასამართლო მედიაციასთან

ზემოთ ხსენებულის განხილვის შემდგომ ჩნდება კითხვა: სავალდებულო სასამართლო და ნებაყოფლობითი მედიაციის კანონმდებლობის მოწესრიგებისა და გამოწვევების გათვალისწინების შემთხვევაში ,ხომ არ იქნება შესაძლებელი დადგინდეს მათი ,,გადაკვეთის წერტილი“,რათა გაჩნდეს კიდევ ერთი ალტერნატიული გზა მოქალაქეთათვის შესათავაზებლად?

კერძოდ, რეგულაცია შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით. თუკი სასამართლო მედიაციისას, სახეზე გვექნება[9], რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეფექტური იქნებოდა არა სასამართლოს ,არამედ ნებაყოფლობითი მედიაციის წარმოება რომელიმე პროვაიდერი ორგანიზაციის ხელშეწყობით, დასაშვები გახდეს სასამართლოს ნაცვლად მოცემული დავის გადამისამართება მხარეთა მიერ არჩეულ პროვაიდერ ორგანიზაციაში არსებულ მედიატორთან. გასათვალისწინებელია რომ აღნიშნული რეგულაცია შესაძლებელია ვერ მოერგოს ყველა შემთხვევას. მისი გამოყენება წარმატებული იქნება მაშინ ,თუ მხარეები მოლაპარაკებისას შეჯერდებიან

[9] ირაკლი ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები.სადისერტაციო ნაშრომი.თბილისი 2018 წ.გვ 228

იმაზე ,რომ სასამართლოში არსებული ფორმალური მხარე შეასაძლოა დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს, მათ შორის შეთანხმების მიღწევის პროცესში.[10]

ამასთან, აუცილებელია დადგინდეს ამგვარი რეგულაციების წინაპირობები, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთის არ არსებობა გამორიცხავდეს მისი გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ: ერთის მხრივ ინიციატივას საჭიროა ემხრობოდეს დაპირისპირებული მხარეები; ხოლო მეორე მხრივ, მისი განხორციელებისათვის აუცილებელი უნდა იყოს მოსამართლის თანხმობა.

1.5. სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

რა არის სავალდებულო მედიაციის უპირატესობა და ნაკლოვანებები? ორივე მოდელის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები საკმაოდ საინტერესოა. შედეგის თვალსაზრისით, ნათელია,რომ სავალდებულო მედიაციის დაწესება მხარეთა და საზოგადოების ინტერესებისათვის სასარგებლოა. შესაბამისად, მართლმსაჯულების ინტერესებში უნდა შედიოდეს მისი არსებობა იმ პირობით, რომ სახელმწიფოს მიერ მოდავე მხარეებზე ზემოქმედების მექანიზმები შექმნილია მედიაციის პროცესში მათი მონაწილეობისთვის და არა სავალდებულო მორიგებისათვის. ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ სავალდებულო მედიაცია მართებულია, როცა ის სახელმწიფოს ხელშეწყობითაა დაფინანსებული და არ ითვალისწინებს ხარჯებს მოდავე მხარეთათვის, რაც გულისხმობს სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებას, მედიატორისათვის ჰონორარის გადახდას, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას და აშ. ამ შემთხვევაში სავალდებულო მედიაციას უარყოფითი ასპექტები შემცირებულია (ეკონომიკური, თუ სამართლებრივი თვალსაზრისით). იმ დროს, როცა სამედიაციო ცენტრისათვის მიმართვა მხარეთათვის სავალდებულოა, ხოლო მხარეებისათვის არ არსებობს მათი

[10] ალექსანდრე წულაძე სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში სადისერტაციო ნაშრომი 2016 წ გვ.22

სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინტერესების მასტიმულირებელი მექანიზმი, რასაკვირველია, სავალდებულო მედიაციის მომხრეთა ოდენობა კლებულობს.[11] სავალდებულო მედიაციის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მხარეები ეთანხმებიან მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ,საქმის სავალდებულო მედიაციით მიმართვის საფუძველზე და სიხარულითაც ხვდებიან ,რადგან მოწინააღმდეგე მხარის მიერ მორიგების სურვილის შეთავაზება აღიქმება როგორც სუსუტი სამართლებრივი პოზიციით გამოწვეული კომპრომისი.

შესაბამისად, მაშინ, როცა ოპონენტის თვალში სხვა შინაარსის მქონე სიგნალად არ აღქმის შიშით, მხარეები თავს იკავებენ საკუთარი ინიციატივით მედიაციის შესახებ საუბრის დაწყებისაგან, მოსამართლის დავალებით მედიაციის პროცესში ჩართვა ეხმარება ორივე მხარეს სახის შენარჩუნებასა და მორიგების შესაძლებლობის გამოყენებაში. ამასთან, რამდენადაც ადვოკატებს შესისხლხორცებული აქვთ დავის გადასაწყვეტად სასამართლოსათვის მიმართვა, ხშირად ისინი მოლაპარაკების მცდელობისა და ალტერნატიულ შესაძლებლობებზე დაფიქრების გარეშე, ჩვეულებისამებრ მიმართავენ ხოლმე სასამართლოს და იყენებნ ყველა შესაძლებლობას, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, ზოგჯერ ვერ ახერხებენ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტას, რაც განაპირობებს სავალდებულო მედიაციისადმი ლოიალური დამოკიდებულების მქონე პირთა სიჭარბეს განაპირობებს.

სავალდებულო მედიაციის პროცესის მომხრეები საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად ხშირად იყენებენ ხოლმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში - ეშნიგდეინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, გაკეთებულ განმარტებას: სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, თუ ეს შეზღუდვა

[11] ალექსანდრე წულაძე სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში სადისერტაციო ნაშრომი 2016 წ. გვ.22

ემსახურება კანონიერ მიზანს და მასში დაცულია პროპორციულობა- მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ ზომას შორის.

თითოეული საქმის სასამართლოში წარმოება მართლმსაჯულებისაგან მოითხოვს ადამიანურ, მატერიალურ და დროის საკმაოდ დიდ რესურსს. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დახმარებით სამართლებრივი დავების რეგულირება მართლმსაჯულებისათვის გამართლებულია როგორც ეკონომიკური პარამეტრებით, ასევე ხარისხობრივითაც. სასამართლო განხილვის მომლოდინე საქმეთა რაოდენობის შემცირება ნიშნავს წარმოებაში არსებულ საქმეთა უფრო მშვიდ და სიღრმისეული გაანალიზების საშუალებას.

ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორი ,როგორც სავალდებულო ,ისე ნებაყოფლობითი მედიაციისათვის არის სასამართლოთა განტვირთვა და სახელმწიფო რესურსების დაზოგვა. თუმცა სავალდებულო მედიაციისას ზემოთაღნიშნული უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. პარალელურად აღსანიშნავია , რომ მედიაციის ეფექტური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სასამართლოების მხრიდან ადმინისტრაციული მხარდაჭერა რაც უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი სავალდებულო მედიაციის დროს, ვიდრე ნებაყოფლობითი მედიაციისას.[12]

რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ხდება მისი ჩართვა სამართლებრივი კონფლიქტის რეგულირების პროცესში , მედიაციის ინსტიტუტი მით უფრო მეტი სიკეთის მომტანია. აქედან გამომდინარე, გამართლებულია, როცა მოსამართლე მხარეებს ავალებს საქმის არსებითად განხილვის წამოწყებამდე სავალდებულო მედიაციის პროცესში მონაწილეობას. მორიგების შემთხვევაში აღნიშნული მიდგომა მოდავე მხარეებს თავიდან აცილებს კონფლიქტის ესკალაციასა და რესურსების ხარჯვას. მით უმეტეს , როცა მედიაციის პროცესში დავის თანამშრომლობითი გზით გადაწყვეტის,მოსმენის, გაგებისა და საკუთარი თავის გადაწყვეტილების მიღების

[12] ალექსანდრე წულაძე სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში დისერტაციო ნაშრომი 2016 წ გვ.23

უფლებამოსილებით აღჭურვის შესახებ ხდება მხარეთა ინფორმირება, მხარეები იოლად ახერხებენ კონფლიქტიდან ურთიერთსასარგებლო და შემოქმედებითი გამოსავლის პოვნას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქმის ადრეულ ეტაპზე სავალდებულო გადამისამართება ქმნის მედიაციის დადებითი მხარეების მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოჩამოთვლილი უპირატესობებისა, სავალდებულო მედიაციის დანერგვის მთავარ ლეიტმოტივად რჩება ის, რომ მედიატორებს შეუძლიათ მხარეებს აღმოუჩინონ დახმარება საწყისს ეტაპზე მათი წინააღმდეგობის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ პურისტების შეხედულებით, სავალდებულო მედიაცია საზოგადოებაში მედიაციის კულტურის დამკვიდრებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს.[13]

ცხადია, სავალდებულო ხასიათი მედიაციის კონსესუალურ ბუნებას ვნებს, თუმცა, მეორე მხრივ, რაციონალისტებს მიაჩნიათ,რომ მხარეთა მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებებისა და მედიაციის პროცესის არაფორმალურობის გამო, პროცესში მხარეთა მონაწილეობის ვალდებულების დაწესება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მის ნებაყოფლობით ბუნებაზე ისე , რომ უგულებელყოფილი იყოს ის სიკეთე ,რისი მიღებაც მისი დახმარებით შეიძლება.

თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ სავალდებულო მედიაციას შეუძლია დაეხმაროს მხარეებს კომუნიკაციაში, მოწინააღმდეგე მხარის პრობლემებისა და ინტერესების შეცნობაში, ასევე მორიგებისათვის საერთო ნიადაგის მომზადებასა და იმაში, რომ პროცესში მონაწილეობის სავალდებულობა გადაწყვეტილების მიღებისას, არ ეწინააღმდეგება მედიაციის იდეას, მაშინ შესაძლოა მის მომხრეებადაც ვიქცეთ. უფრო მეტიც, მედიაციის პრობლემებზე მომუშავე ავტორები ზოგადად ფიქრობენ, რომ სასამართლოებს აქვთ სავალდებულო მედიაციის განწესების თანდაყოლილი

[13] ალექსანდრე წულაძე სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში სადისერტაციო ნაშრომი 2016 წ გვ.24

უფლებამოსილება, როგორც მათი საქმიანობის შემადგენელი ნაწილისა და რომ ის საქმეთა მართვის ადმინისტრაციული ფუნქციის კომპონენტია. შესაბამისად,[14] დღეისათვის ავსტრალიაში ცდილობენ, ხელი შეუწყონ მოსამართლეებს სავალდებულო მედიაციის გამოყენებაში.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ქვეყნებში, სადაც სავალდებულო მედიაცია მოქმედებს, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესის ნებაყოფლობითობის იდეა გადაწონა საჯარო ინტერესმა გადატვირთული სასამართლოების პროცესების განთავისუფლების მიზნით.

შედარებითი ანალიზის შედეგად სასურველი შედეგის მიღების სტატისტიკურმა მაჩვენებელმა გადაწონა სურვილი ,რომ მხარეებმა ნებაყოფლობით მიიღონ მონაწილეობა მასში,თუმცა ამგვარ მიდგომას ავტორთა ნაწილი არ იზიარებს.

მათი მოსაზრებით სავალდებულო მედიაცია ეწინააღმდეგება მედიაციის იდეას, ვინაიდან შემცირების ნაცვლად ის ზრდის პროცესის ხარჯებს, ვადებს და განმუხტვის მაგიერ ამწვავებს მხარეთა შორის დაძაბულობას. ამასთან, სახელმწიფო მოხელის მხრიდან ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება ან დავალება მხარეებისათვის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მათი მოსაზრებების საწინააღმდეგოა. სავალდებულო მედიაცია გარკვეულწილად პროცესის იძულებით წამომწყებია. ვინადიან იგი მხარეთა სურვილს უგულებელჰყოფს. სავალდებულო მედიაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები მუდამ იარსებებს. ერთი შეხედვით, სავალდებულო მედიაციას შეუძლია, ზიანი მიაყენოს მედიაციის იდეას, თუმცა მეორეს მხრივ, მას შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარების გაწევაც. თუ სავალდებულო მედიაციის პროცესი ვერ მოარიგებს მხარეებს, მათ შორის პოზიციების დაახლოებას მაინც უნდა შეუწყოს ხელი, რომლის დადებით შედეგსაც ხშირად მხარეები სასამართლო პროცესის დროს იღებენ. გამოდის, რომ გარკვეულ წილად მედიაციის

[14] ალექსანდრე წულაძე სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში.სადისერტაციო ნაშრომი გვ.25

იდეის მიღწევა სავალდებულო მედიაციით მაშინაც კი ხერხდება, როცა პროცესი ერთი შეხედვით წარუმატებლად ანუ მორიგების გარეშე სრულდება.როგორც შემდგომ თავებში იქნება მიმოხილული, სავალდებულო მედიაციის დამკვიდრებას სხვადასხვა ქვეყნის მართლმსაჯულებაში სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ასევე განსხვავდება იმ დავათა კატეგორიებიც რომლებიც შესაძლოა სავალდებულო მედიაციას გადაეცეს, თუმცა პრობლემის ფსიქო-სოციალური ფაქტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე,ყველაზე მეტად სავალდებულო მედიაციას საოჯახო და სამემკვიდრეო დავების გადასაწყვეტად მიმართავენ . კვლევის შედეგებმა ცხადჰყო,რომ მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები უფრო მეტად უკმაყოფილოები იყვნენ სავალდებულო მედიაციით, ვიდრე მოპასუხე მხარისა, რაც იმით აიხსნება, რომ მედიაციის პროცესზე დახარჯული დრო მოპასუხე მხარისათვის გარკვეული ფორმით საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბლებად დამატებით შესაძლებლობად იქცა, რაც სტატისტიკური მაჩვენებლებითაც დასტურდება. კერძოდ, მორიგების პროცენტული მაჩვენებელი ნებაყოფლობით მედიაციის პროცესებზე უფრო მაღალია, ვიდრე სავალდებულო მედიაციის პროცესებზე.

1.6. მედიაცია საოჯახო საქმეებზე

2012 წლის იანვრიდან ფაქტობრივად ამოქმედდა სასამართლოზე დამყარებული მედიაცია, რომლითაც მედიაციის პროცესის შესაბამისობას კანონთან ხელს უწყობს სასამართლო და მონაწილე მხარეების სურვილის გათვალისწინებით იგი მზად არის იურიდიული ძალა მიანიჭოს და დაამტკიცოს მხარეთა შორის მიღწეული შთანხმება. საოჯახო ან განქორწინების მედიაცია,როგორც ტერმინი ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული. საოჯახო მედიაციის სფეროსთვის განკუთვნილი დავები მხოლოდ მედიატორის დახმარებით გვარდება და განიხილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1871[1] მუხლის თანახმად, სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეები დავის შემთხვევაში გადაეცემეა მედიატორს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულია მედიაციის

ორივე ფორმა. არჩეულია შუალედური[15] მიდგომა და მხოლოდ სამი კატეგორიის საქმეებს მოიცავს. დანარჩენ შემთხვევაში კი შესაძლებელია მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საგნად გამოყენება. ქართული სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინებით,ერთ-ერთი საინტერესო დეტალი არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვით მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება დავა გადაეცეს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მედიაციას .ეს კი გვისაბუთებს ,რომ სავალდებულო მედიაციის შესახებ განჩინების მიღება მოსამართლეს შუძლია მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე. მათ შორის რა თქმა უნდა არის საოჯახო სამართლებრივ დავებთან დაკავშირებული საქმეები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[1] მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მედიატორისთვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ გასაჩივრდება. ეს ნიშნავს რომ ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით სავალდებულო მედიაცია განიხილება როგორც სასამართლოში საქმის წარმოების პროცესის ნაწილი. ის, რომ გარკვეული კატეგორიის დავები, მათ შორის საოჯახო სამართლებრივი, სავალდებულო მედიაციას გადაეცემა ისე, რომ მხარეებს ამ განჩნების გასაჩივრების უფლებაც კი არ აქვთ, არ ნიშნავს რომ ეს არის კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა, ის მიღებულია სასამართლოს ადმინისტრირების პროცესში. ამგვარ დამოკიდებულებას არა ერთი ქვეყანა იცნობს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში სასამართლო მედიაცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საქმეებს, მხარეთა ნების მიუხედავად გადასცემს მედიატორს საქმის მორიგებით დასრულების მიზნით.

---

[15] ა .წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტ [13]მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 62

აღნიშნულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მხარეთა ნების არ არსებობა.. სასამართლო ვალდებულია მედიაციას დაუქვემდებაროს საოჯახო სამართლებრივი დავები, გარდა კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისისა. ხშირ შემთხვევაში[16] სავალდებულო მედიაციას კონსტიტუციასთან წინაარმდეგობაში მყოფ ნორმად განიხილავენ.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ასევე ეს უფლება გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში,[17] რომლის მიხედვითაც ყოველ ადამიანს აქვს საშუალება მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობის განსაზღვრისას განიხილოს საქმე, საქვეყნოდ განხილვის უფლებით, კანონის საფუძველზე შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში, რა თქმა უნდა გონივრულ ვადაში. კანონის საფუძველზე შექმნილი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სავალდებულო მედიაცია ასევე გათვალისწინებულია 2008 წლის 21 მაისის ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008/52/C დირექტივაში. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 2010 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ სავალდებულო[18] სასამართლო მედიაცია არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან, მედიაციას არ გააჩნია მხარეთათვის სავალდებულო შედეგი, არ ხდება სამართალწარმოების დაგვიანება და ხარჯებიც არ არის თანაზომიერად მაღალი. [19]

---

[16] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჟურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 9

[17] საქართველოსკონსტიტუცია. საბოლოო ვერსია. თბილისი 2019წ. მუხლი 31. 101 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

[18] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ.

[19] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=010

ეს შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის მიმართ. რაც შეეხება სასამართლო მედიაციის წარმოების წესს, რომელიც საოჯახო მედიაციის წარმოების წესებსაც მოიცავს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სასამართლოში საქმის შეტანისას მოსამართლე საქმეს გადასცემს მედიატორს, რომელიც ხელს უწყობს მხარეთა შორის შეთანხმებას სადავო საკითხებთან დაკავშირებით.[17] მედიატორს ეგზავნება სასამართლო განჩნების ასლი, რომელიც უნდა შეიცავდეს აუცილებელ და ამომწურავ რეკვიზიტებს მხარეებთან დასაკავშირებლად. ამასთან დადგენილია მედიაციის პროცესის ვადები, რომელიც შეადგენს 45 დღეს (სსსკ - 1875). თუმცა გაურკვევლი რჩება საიდან ხდება ამ ვადის დინების ათვლა.

მედიაციის პროცესის განხორციელებისათვის მხარეები ვალდებულნი არიან გამოცხადნენ შეხვედრაზე, რადგან მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულება აბსოლუტურად დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე და მათი გამოუცხადებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს მედიაციის პროცესს. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია გარკვეული სანქციები გამოუცხადებლობის შემთხვევაში.[20]

ვფიქრობ, იმისათვის,რომ მედიაციის პროცესი შედეგიანი აღმოჩნდეს აუცილებელია მხარეთა უშუალო ჩართულობა და მათი ნება, რათა დავა შეთანხმებით დასრულდეს. ამისთვის აუცილებელია, რომ მხარეები გამოცხადნენ დანიშნულ სხდომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა პროცესი წარუმატებლად ჩაითვალოს.

მედიაციის პროცესის წარუმატებლობის შემდგომ მხარეს აქვს საშუალება უკვე სასამართლოში წარადგინოს სარჩელი, ხოლო მედიაციის პროცესის შეთანხმებით

---

[20] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

დასრულების შემდგომ სასამართლო ამტკიცებს მორიგების აქტს და წყვეტს საქმის წარმოებას.

ზემოაღნიშნული ნორმით კანონმდებელმა მედიაციის საბოლოო პროდუქტი სასამართლო კონტროლს დაუქვემდებარა, ისევე, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. მართებულად მიიჩნევა სასამართლო ზედამხედველობა მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე , განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა დავა საოჯახო სამართლებრივი კატეგორიისაა, სადაც უნდა გათვალისწინებული იქნეს არასრულწლოვანის ინტერესები. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით მოახდინოს მორიგების პირობების დამტკიცება. რაც შეეხება განქორწინების მედიაციას, როგორც[19] ვიცით იგი საქართველოს ლეგისლაციაში ნახსენებიც კი არ არის. მის ნაცვლად მოხსენიებულია საოჯახო მედიაციის დავების მედიატორის დახმარებით მოგვარება, რაც საოჯახო მედიაციის სფეროს განეკუთვნება. რადგანაც საოჯახო მედიაცია განქორწინების შედეგად წარმოშობილ საკითხებსაც მოიცავს გამომდინარეობს რომ კანონმდებლობის თანახმად განქორწინების მედიაციას კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზა ნამდვილად გააჩნია.

საქართველოს მედიაციის მარეგულირებელი ნორმები არაფერს ამბობენ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იყოს მედიატორი განქორწინების[21] საქმეებზე, რა პროფესიულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, იმისთვის, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული პროცესში მონაწილე მეუღლეთა და მათი შვილების უფლებები. თუ გავითვალისწინებთ, რომ განქორწინებათა რიცხვი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, აშკარაა, რომ განქორწინების მედიაციის პროცედურის გამოყენების არეალი ძალიან დიდია. ეს კი მიუთითებს რომ საჭიროა განქორწინების მედიაციის სამართლებრივ დონეზე რეგულირება.

[21] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 36. 108 (იქვე) გვ. 36, 37. 43

იმისათვის, რომ მოხდეს განქორწინების მედიაციის ეფექტური მოწესრიგება, აუცილებელია საზღვარგარეთის პრაქტიკის გათვალისწინება. საგულისხმოა აქცენტის იმ პრობლემეზე გაკეთება, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიკვეთა. მაგალითად : თუ რა როლი აკისრია მედიატორს განქორწინების მედიაციაში, ბავშვები მედიაციის პროცესში, განქორწინების მედიაცია ოჯახური ძალადობის შემთხვევაში და ა.შ. მედიაციის დანერგვის[19] ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს სასამართლოების განტვირთვაა, რისი საჭიროებაც აშკარა გახდა სასამართლოებში შესული სამოქალაქო საქმეების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოჯახო დავები, რომელთა განხილვაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად უკვე მედიაციას ექვემდებარება. 2013 წლის მონაცემებით საოჯახო სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა 2307 საქმე. მართალია, მათი ნაწილი არ ექვემდებარება მედიაციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეუღლეთა განქორწინებასთან (1317 საქმე) და ალიმენტთან დაკავშირებული (510 საქმე) საქმეების მედიაციის საშუალებით განხილვამ სასამართლოებს მნიშვნელოვანი განტვირთა მისცა.

მედიაცია არ იყო დავის გადაწყვეტის უპირველესი ალტერნატიული საშუალება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინერგა. თუმცა მან სხვადასხვა ალტერნატივას შორის თანდათან გამორჩეული ადგილი დაიკავა. ამის მიზეზი იყო ის ,რომ მან მოახერხა მხარეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგება. ამერიკაში მედიაციის დანერგვას და განვითარებას სხვადასხვა ისტორიულმა თუ სამართლებრივმა მოვლენამ შეუწყო ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი გახდა ამერიკაში განქორწინებათა რიცხვის ზრდა, როდესაც ალტერნატიული საშუალებებით ხდებოდა სადაო საკითხის მოგვარება. შესაბამისად აუცილებელი გახდა მიღებული ყოფილიყო სხვადასხვა გადაწყვეტილება. საოჯახო, სამეზობლო და

სხვა[22] საყოფაცხოვრებო დავების გადაწყვეტის მიზნით მედიაცია აშშ-ში გამოიყენება XX საუკუნის 60-70 წლებიდან, რაც მიზნად ისახავდა, რომ საზოგადოების გარკვეულ ფენებისთვის მარტივი გამხდარიყო ყოფითი დავების მოგვარება სასამართლოს ჩარევის გარეშე. 1811- 1980 წლიდან ამერიკაში სასამართლოების განტვირთვის მიზნით, მათ საოჯახო და სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენება დაიწყეს და მის განუყოფელ ნაწილადაც იქცა. უკვე 1990-იანი წლებიდან სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ყველანაირად უწყობდა ხელს სხვადასხვა კატეგორიის და სირთულის დავების სასამართლო მედიაციით გადაწყვეტას. უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის დანერგვის

მიზანი მხოლოდ საქმეთა ნაკადის მართვა და მათი რაოდენობის შემცირება არ იყო, როგორც ეს გამოკვეთილია ბევრ სხვა ევროპულ სახელმწიფოში. არამედ მისი მთავარი მიზანი იყო მოქალაქეებს სასამართლოს გარდა,

დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ ფორმებზეც ქონოდათ წვდომა, რომელიც მოდავეთა მოთხოვნილებებს გაითვალისწინებდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაცია ხორციელდება კერძო და საჯარო სექტორის მიერ. მედიაციის საჯარო სამართლებრივი სუბიექტები იქმნებიან კანონის შესაბამისად და მათი ავტორიზირება ხორციელდება სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სხვადასხვა შტატში შექმნილია სპეციალური ავტორიზებული სამსახური, რომელიც განიხილავს მაგალითად განქორწინებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დავას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაცია შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი.სავალდებულო მედიაცია ხორციელდება

[22] ˚ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 94.

მაგალითად; როდესაც დავა ეხება არასრულწლოვანთან ურთიერთობის საკითხებს,როგორიცაა მეურვეობა,

მზრუნველობა, შვილთა ნახვა და ა.შ. სხვა შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლებამოსილება საქმის განხილვისას საქმე გადასცეს მედიატორს განსახილველად,მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

2001 წლეს ამერიკაში შეიმუშავეს მედიაციის ერთგვაროვანი აქტი, რომელიც შტატებს შეუძლიათ მიიღონ და აამოქმედონ, როგორც საკუთარი სამართალი. 2008 წლის მდგომარეობით ეს კანონი მოქმედებს ამერიკის რვა შტატსა და კოლუმბიის [20]ოლქში. ეს აქტი მხარდაჭერილია,როგორც სასამართლოს , ისე კერძო ინიციატივის საფუძველზე შედგენილ მედიაციის სამსახურების მიერ. აქტით გათვალისწინებულია სავალდებულო სასამართლოს მედიაციის დანიშნულება, მხარეთა ვალდებულება, მათი ნების მიუხედავად, არბიტრის, სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მოახდინონ დავის მედიაციისათვის გადაცემა.

მოქმედი რეგულირების შესაბამისად კალიფორნიის შტატმა სავალდებულო მედიაციას მრავალი ტიპის დავა დაუქვემდებარა, მათ შორისაა საოჯახო დავები.[23] 1990 წელს კალიფორნიის შტატში მიღებული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4607 მუხლი,რომლის მიხედვითაც მხარეებს არ აქვთ სხვა ალტერნატივა ,გარდა სავალდებულო სასამართლო მედიაციისა, როდესაც საქმე ეხება ბავშვის მეურვეობასთან და მზრუნველობასთან დაკავშირებულ დავებს.

კვლევებმა გვიჩვენა ,რომ მხარეების 70-80% რომლებიც იყენებდნენ პროცესში სასამართლო მედიაციას , კმაყოფილნი იყვნენ მისი განხილვით და შედეგით. დიდი ხნის განმავლობაში ამერიკაში აიგივებდნენ მედიაციას და მოლაპარაკებებს. თუმცა მათ შორის არის დიდი განსხვავება. კერძოდ, მოლაპარაკების პროცესის მთავარი

[23] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 94.

მიზანი არის აღმოფხრას განქორწინების საფუძველი და მიისწრაფვის მხარეთა შერიგებისაკენ. მედიაციის პროცესის დროს კი უშუალოდ მესამე, ნეიტრალური პირის მიერ ხორციელდება მხარეთა შორის დავის შეთანხმებით დასრულება. დაპირისპირებული მხარეები მედიატორის დახმარებით თანხმდებიან ისეთ საკითხებზე ,როგორიცაა: ქონების გაყოფა,[22] შვილის მიკუთვნება, შვილთან ურთიერთობა, ალიმენტი და სხვ. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხდება ასევე განქორწინებაც. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკაში მედიაციის განვითარება ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად ითვალისწინებდა ნაკლებ ფინანსურ დანახარჯსაც. ჯორჯიის შტატის კანონმდებლობის გათვალისწინებით მედიატორ და განქორწინების პროცესის ფინანსურ მენეჯერ ,რიჩარდ ჰენდრის ,წარმოდგენილი აქვს შემდეგი ილუსტრაცია მედიაციის ხარჯების შესახებ,იმ შემთხვევაში, თუ მედიატორის საათობრივი ანაზღაურება არის 150 აშშ დოლარი[24]:

1) გაცნობა 1,5 საათი - 225$. 2) ინფორმაციის მოგროვება 3 საათი - 450$. 3) Framing 3 საათი - 450$. 4) მოლაპარაკების წარმოება 4 საათი - 600$. 5)დასკვნა და შეთანხმების მომზადება 4 საათი 600$. მთლიანობაში მედიაციის საერთო თანხა შეადგენს 2,325$.

იმ შემთხვევაში თუ მხარეები კეთილგანწყობილები არიან [23] და სურთ მორიგება ,ხარჯები ასე ნაწილდება:1) ადვოკატის კონსულტაცია - 1,500$. 2) უძრავი ქონების შეფასება, Real Estate Appraisal – 400$. 3) ბაჟზე კონსულტაცია - 200$. 4) [21]ხელმომწერების სხდომა, Signature Session – 200$. [23]

5) განქორწინება - 1,000$. 6) სასამართლოშ სარჩელის შეტანის საფასური - 300$. მთლიანობაში სასამართლოს ხარჯები შეადგენს 3,300$.

[24] Danny McFadden-Developments in International Commercial Mediation: USA, UK, Asia, India and the European Union. 2017წ.

სამართალწარმოების ხარჯები იმ შემთხვევაში როდესაც პროცესზე გამოყენებული იქნება შეჯიბრებითობის პრინციპი შეადგენს შემდეგს: 1) ორი ადვოკატი, თითოეულის საათობრივი ანაზღაურება - საშუალოდ 350$. 2)მომზადება და სარჩელის შეტანამდე პროცესი, 15 საათი- 10,500$. 3) სარჩელის შეტანა - 300$. 4) პირველი მოსმენისთვის მომზადება და დასწრება, 12 საათი - 8,400$. 5) მტკიცებულებები, 40 საათი - 28,000$. 6) ხარჯები (დამატებითი ხარჯები სასარჩელო საბუთებისთვის, მოწმეთათვის, ექსპერტებისთვის) – 10,000$. 7) სასამართლო პროცესის წინარე შეხვედრები და მომზადებები, 30 საათი - 21,000$. 8) მორიგება, 10 საათი - 7,000$. 9) 118 შეთანხმების მომზადება, 10 საათი - 7,000$.

1.7. ნებაყოფლობითობა, როგორც მედიაციის სავალდებულო კომპონენტი

ამ შემთხვევაში კონფიდენციალურობასთან ერთად ნებაყოფლობითობა მედიაციის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.შესაბამისად, მისი დეტალურად განხილვა არათუ მიზანშეწონილი, არამედ სავალდებულოცაა.[25] იმასთვის, რომ მედიაციის პროცესმა მიაღწიოს სასურველ შედეგს, საჭიროა მხარეები მასში მონაწილეობდნენ საკუთარი ნებით, თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას ოპონენტებიც უხვად ჰყავს. სრულყოფილ მსოფლიოში მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაცია იარსებებდა, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ დღევანდელი საზოგადოება და ჩვენი სამართლებრივ კულტურა ამ დონემდეა მისული- აღნიშნავს პროფოსორი რელიზი თავის წიგნში.[26] იმავე იდეის დასამტკიცებლად ზოგიერთი მისი კოლეგა სტატისტიკურ მონაცემებს იხმობს, რომლებიც ნათლად მიგვანიშნებს, რომ მედიაცია დავების გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, რასაც ადასტურებს მედიაციით მორიგებულ მხარეთა სტატისტიკური მაჩვენებელი და დავის მშვიდობიანი გადაწყვეტით კმაყოფილ მომხმარებელთა რაოდენობა. აგრეთვე, სასამართლო განხილვის მომლოდინე საქმეთა ნაკადის მნიშვნელოვნად შემცირება. სწორედ,

[25] Magistrates' Court Rules 2010 Rule 60A.
[26] Magistrates' Court Rules 2010 Rule 19.

მართლმსაჯულების[27] პოლიტიკის შემმუშავებელმა პირებმა მიიჩნიეს ,რომ უნდა დაეჭირათ მხარი მედიაციის ინსტიტუტისათვის,რადაგან იგი ეფექტური იყო საოჯახო დავების განხილვისას. აქედან გამომდინარე მიღებული იქნა მედიაციის ისეთი ფორმა რომელიც შესაძლოა დაწყებულიყო და განხორციელებულიყო მხარეთა ნებაყიფლობითაც და სასამართლოს გადაწყვეტილებითაც.

შესაბამისად, შესაძლებელი ხდებოდა სამედიაციო ცენტრებისათვის საქმის გადამისამართება მაშინაც კი, როცა ამის მომხრე თავად მხარეები არ იყვნენ .უდავოა, რომ სავალდებულო მედიაციის წარმოშობას ერთადერთი მიზანი ჰქონდა მედიაციის პროცესში მეტი სამართლებრივი კონფლიქტის მქონე პირის ჩართვა.

არსებობს მისაზრება რომ ნებაყოფლობითობა ე.წ. სურვილის ფაქტორი ,შეიძლება შეიზღუდოს სამედიაციო ცენტრისადმი მიმართვის პროცესში, მაგრამ დაცული იყოს მედიაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღების საკითხთან მიმართებაში. პროცესში ჩართული მესამე, ნეიტრალური პირი არ უნდა იქცეს შემაფერხებლად , თუმცა აუცილებლად უნდა იყოს დაცული მასზე უარის თქმის ანდა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით მიღების უფლება. აღნიშნული ნათლად გამოჩნდა იტალიის რესპუბლიკის მედიაციის მართლმსაჯულებაში ,რომლითაც:

1) გარკვეულ კატეგორიების საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილი იყო, პირდაპირ გადაეგზავნა საქმე სამედიაციო ცენტირსათვის. შესაბასამისად,[28] დაინერგა სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტი;

2) თუ მხარეები თავად ვერ მორიგდებოდნენ შეთანხმების ხელსაყრელ პირობებზე, მაშინ მედიატორს ეძლეოდა შესაძლებლობა, მხარეთათვის შეეთავაზებინა შეთანხმების პირობები, რომელზეც დაუთანხმებლობა და საქმის სასამართლოში დაბრუნება მოსამართლეს აძლევდა უფლებამოსილებას მედიატორის შეთავაზებაზე უარის განმაცხადებელი მხარის წინააღმდეგ მიეღო გარკვეული სანქციები. .აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილი, 2012 წლის #272 საკონსტიტუციო

[27] Magistrates' Court Rules 2010 Rule 22.
[28] Magistrates' Court Rules 2010 Rule 25. 44vs AA Mutual Insurance Association Limited 1977 (2) SA 407.

სასამართლოს გადაწყვეტილებით,არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, არა იმიტომ რომ ის ზღუდავდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ იმიტომ რომ აღნიშნული[29] ნორმა აღმასრულებელი ხელისუფლების მიღებული სამართლებრივი აქტით რეგულირდება და არა საკანონმდებლო ხელისუფლების. შესაბამისად, თუ რამდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ სადავო საკითხს წარმოადგენდა იტალიელი სამართლის სპეციალისტებისათვის სავალდებულო მედიაციის არსებობა, დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მედიაციის პროცესში მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება, უარი თქვან მორიგებაზე, მაგრამ მათ ყოველთვის არ აქვთ უფლება, უარი თქვან მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

ასე, რომ სავალდებულო მედიაცია პროცესში სავალდებულო (არანებაყოფლობით) მონაწილეობას გულისხმობს და არა სავალდებულო მორიგებას. ამასთან, მაშინაც კი, როცა მედიაციის პროცესში მონაწილეობა სავალდებულოა,ვალდებულების ფარგლები ხშირად სხვადასხვაგვარია. თუ ერთ შემთხვევაში მხარეებს მხოლოდ საინფორმაციო (საორიენტაციო) შეხვედრაში მონაწილეობა ევალებათ, მეორე

შემთხვევებში ის სასამართლოში დავის წამოწყების აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, მხარეებს ევალებათ მონაწილეობის მიღება მინიმუმ ერთ სამედიაციო შეხვედრაში. მაშინაც კი, როცა მედიაცია ნებაყოფლობითია, მისი პირობებიც შეიძლება იყოს განსხვავებული. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, სასამართლოს შეუძლია `ძლიერი ზეწოლა მოახდინოს მხარეებზე, რათა სასამართლოს მომხმარებლებმა მიმართონ მედიაციას, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო მხოლოდ შეთავაზებით, რეკომენდაციით შემოიფარგლება ხოლმე.სავალდებულო და ნებაყოფლობით მედიაციას აქვს როგორც დადებითი და ისე უარყოფითი მხარეები.

[29] vs AA Mutual Insurance Association Limited 1977 (2) SA 407

ხარჯი მთლიანობაში შეადგენს 92,200$. ჩამოთვლილიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ აქედან ამერიკაში, საოჯახო დავებში მედიაცია ზოგავს როგორც წყვილის ფინანსურ რესურსს, ასევე დროს და ენერგიას.

თავი 2. ქართული მედიაციის ისტორია და ამჟამინდელი პრობლემები

2.1. ქართული მედიაციის ისტორიული გამოცდილება

ქართული რეალობიდან გამომდინარე მედიაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სიახლედ. რადგან ისტორიულად ცნობილია ,რომ საქართველოში სადავო საკითხის გადასაწყვეტად ხშირად მიმართავდნენ გამოცდილ და ავტორიტეტულ პიროვნებას. მაგალითად , ,,ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი“ ,კანონთა კრებული, რომელიც შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში, შედეგენილია XIII-XIV საუკუნეებში. საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705-1708 წლებში შედგენილი კანონთა კრებულის მეშვიდე ნაწილი მოიცავს ზუტად ამ კანონთა კრებულს სახელწოდებით „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“.[30] იგი შეიცავს შესავალსა და 270 მუხლს. მასში მე-6 ნაწილი მიუთითებს ,,შუათაბრჭობის“შესახებ, რაც ნიშნავს შუაკაცების მონაწილეობას დავის განხილვისას და მათი დახმარებით დაზავებას.

,,ჩვეულების სჯულის „ მე-60 მუხლში ჩამოთვლილია მოსამართლეთა სხვადასხვა კატეგორია: მოსამართლე, ბჭე, მედიატორი. მათგან მოსამართლეს ნიშნავდა ხელმწიფე, ხოლო მედიატორს ირჩევდნენ დაპირისპირებული მხარეები.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ერთგვარ კანონზომიერებას წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებით სადავო საკითხების

საკანონმდებლო დონეზე რეგულირება და მისი დამკვიდრება ქართულ პრაქტიკაში.

ოჯახის გაყოფასათან ყოველთვის მედიატორობა ოყო დაკავშირებული. ამას მოწმობს ჩვენამდე შემონახული ისტორიული მასალაც რომლის მიხედვითაც საქართველოს ყველა კუთხეში ოჯახური ქონების გაყოფა მედიატორის დახმარებით ხდებოდა. საქართველოში მედიატორის მონაწილეობა საოჯახო დავებში შემორჩა მე-20 საუკუნეშიც კი. მედიატორების მოვალეობას შეადგენდა, პირველ რიგში აღეწერათ

[30] მ. ხოფერია, „მედიატორის როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით“, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2011, 1987-76-68 #1, გვ. გვ11.

ოჯახის მთელი ქონება და შეედგინათ გაყრისა და ქონების განაწილება. აჭარის მაგალითზე: პროცესის დროს ,მედიატორი აუცილებლად ითვალისწინებდა ოჯახის თითოეული წევრის ინტერესებს და ამ კუთხეში სამართლით დამკვიდრებულ ჩვეულებით წესებსაც. ხდებოდა მთლიანი ქონების თანაბარ ნაწილებად დაყოფა და თითოეულს ნაწილს განსაზღვრულ ნიშანს ანიჭებდნენ. ქუდში ჩაყრიდნენ იმდენივე ნიშანდასმულ ჩხირს, რამდენი მონაწილეც იყო. თითოეული ჩხირი წინასწარ განსაზღვრული წილის კუთვნილების გამომხატველი იყო და ამის შესახებ მხოლოდ მედიატორები იყვნენ ინფორმირებულნი. ქუდში ჩაყრილი ჩხირების ამოღების შემდეგ თითოეული მონაწილე ისაკუთრებდა თავის წილ ქონებას.

ოჯახი მედიატორებს თვითონ ირჩევდა ,რომლებიც უმთავრესად ოჯახის ახლობლები, მეზობლები და სოფელში გამორჩეული ადამიანები იყვნენ. მათი რაოდენობა შესაძლოა ყოფილიყო ერთი ან სამი. მათგან ერთს უფროსს ეძახდნენ ,დანაჩენები კი ობერ-მედიატორის როლს ასრულებდნენ. არჩეული მედიატორი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, იყო ჭკვიანი და გამოცდილი, კარგად იცოდა წერა-კითხვა, მიწის გაზომვა.

2.2 ქართული მედიაციის პრობლემები

საქართველოში საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონიდან გამომდინარე სასამართლო მედიაციის მიმართვიანობისადმი მოსახლეობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო დავებზე მედიაციის პროცესი სავალდებულოდ ითვლება. არსებობს გამონაკლისი საოჯახო დავები,რომელზეც სავალდებულო მედიაცია არ ვრცელდება,მიუხედავად იმის ,რომ მისი გამოყენება ბევრ პრობლემას გადაჭრიდა. სტატისტიკის მიხედვით დასტურდება, რომ მედიაციის უმეტესება მორიგებით მთავრდება. მნიშვნელოვანია რომ მხარეთა ცნობიერების გაზრდის შედეგად შესაძლებელია მოხდეს მედიაციის მიმართვიანობის შედეგის გაზრდა. საჭიროა მედიატორებმა მხარეებს მოაწონონ მედიაციის პროცესი. კარგი იქნება თუ შეიქმნება სხვადასხვა სახის მედიაკომპანიები. როგორც აღვნიშნეთ

საოჯახო მედიაცია უმეტესწილად მოიცავს განქორწინების შედეგად წარმოშობილ დავებს. იქიდან გამომდინარე,რომ განქორწინების რიცხვი ბოლო წლებში სამჯერ გაიზარდა, განქორწინების მედიაციის სამართლებრივ დონეზე განხილვის არეალიც შესაბამისად გაფართოვდა. საჭირო ხდება განქორწინების მედიაციის სამართლებრივ დონეზე რეგულირება, რადგან მასში არსებული მუხლები არ განსაზრვრავენ თუ ვინ უნდა იყოს მედიატორი, რა პროფესიულ მოთხოვნებს[31] უნდა აკმაყოფილებდეს, რათა დაცული იქნეს პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებები. ამ ყველაფრის გათვალისწინება მიგვიყვანს ქართული სამართლებრივი სივრცისა და საოჯახო დავების გადაწყვეტის გაჯანსაღებამდე. მიუხედავად პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული ხარვეზებისა და საკანონმდებლო აქტების რეგულირების საჭიროებისა ,მთლიანობაში მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრება პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ა)საჭიროა საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება მედიაციის შესახებ, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალების არსებობის, კონკრეტული უპირატესობების მითითებით თუ რას იძლევა მედიაცია და რატომ უნდა ანდოს მხარემ საკუთარი კონფლიქტის გადაწყვეტა სასამართლოს ნაცვლად მისთვის უცხო პიროვნებას; ბ) საჭიროა მედიაციის შესახებ სასწავლო კურსების საუნივერსიტეტო თუ საშუალო განათლების სისტემაში სწორი და სრულფასოვანი ინტეგრირება, რაც წინაპირობაა მისი ახალი თაობის მხრიდან ინფორმაციის გამოყენებისა, რადგან სწორედ მომავალი დავის მხარეები სკოლის მერხთან და საუნივერსიტეტო კედლებში იღებენ იმ პირველად განათლებას აღნიშნულის შესახებ და პოტენციურად კარგად მომზადებულ მოდავე მხარეებს წარმოადგენენ საჭიროა სამედიაციო ინსტიტუციების განვითარება, და მათთვის ფინანსური რესურსის მოზიდვა სახელმწიფო და ბიზნეს სექტორიდან დ) საჭიროა მედიაციის მეცნიერული კვლევა და დარგის მეცნიერული

[31] ანა გურიელი. „სასამართლო და არასასამართლო მედიაციის ურთიერთ მიმართება“ჟურნალი სამართალი და მსოფლიო.2018წ 10.12 გვ 16

განვითარება, რაც წინაპირობაა საკითხის მეცნიერული დამუშავების და კიდევ უფრო მაღალ რანგში აყვანის.

საბოლოო შეჯამებისათვის თუ დავეყრდნობით დოკუმენტებს, მოცემულ ლიტერატურას ,ინტერვიუებსა და დისკუსიებს მართებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ძირითადად კონფლიქტის გამოწვევის მიზეზი არის მხარეთა ურყევი პოზიცია. კვლევის პროცესში თვალნათლივ გამოიხატა კონფლიქტის[31^] სტრატეგიები,რომელსაც მიმართავენ მხარეები. ამ მხრივ გვხვდება ორი უკიდურესი ვარიანტი: პირველია-განრიდების სტრატეგია,რომელსაც მხარე მიმართავს კონფლიქტის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად. მეორე- მეტოქეობა, როდესაც რომელიმე მხარეს არ სურს პოზიციების დათმობა. მოცემული შემთხვევებიდან ჩანს ,რომ ორივე მხარე ორიენტირებულია საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა რომ, ყველასათვის ნათელია, მსგავსი სტრატეგიით მოქმედება არ არის სასარგებლო და ეფექტური არცერთი მხარისათვის. ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას ,რომ დავასკვნათ რამდენად აუცილებელია მესამე მხარის ჩართულობა ,მონაწლეების თანხმობის საფუძველზე, რათა მშვიდობიანად მოგვარდეს კონფლიქტი.

2.3 საქართველოს სავალდებულო სასამართლო მედიაცია

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება 2012 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს საქართველოში და მოდავე მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა კონფლიქტის ამოწურვის მიზნებისათვის გამოიყენონ აღნიშნული შესაძლებლობა; კერძოდ, 2011 წლის 20 დეკემბრის #5550 საქართველოს კანონით ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში,[32] რომლის

[32] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში წიგნი.გამომცემლობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013.გვ,

თანახმად კოდექსს დაემატა XXI1 თავი (1871 - 1879 მუხლები) რის შედეგადაც სასამართლო მედიაცია ხელმისაწვდომი გახდა ქართული საზოგადოებისათვის. მოქმედი ნორმატიული ბაზის საფუძველზე საქართველოში მოქმედებს სასამართლო მედიაცია, რომლის თანახმად საოჯახო სამართლებრივ დავებზე (გამონაკლისია შვილად აყვანა, შვილად აყვანის ბათილად ცნობა, შვილად აყვანის გაუქმება, მშობლის უფლების შეზღუდვა, მშობლის უფლების ჩამორთმევა,აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა), ასევე მოქმედებს სამემკვიდრეო სამართლებრივ და სამეზობლო სამართლებრივ დავებზე. მოდავე მხარეების თანხმობის შემთხვევაში, ნებისმიერი კატეგორიის სამოქალაქო დავაზე შესაძლებელია მედიაციის წარმოება.აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კატეგორიის დავები სამართლებრივი[27] ნორმატიული აღქმით ექვემდებარება სავალდებულო მედიაციას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს და მათ შორის საზოგადოებაში არ სარგებლობს დიდი ნდობით და მოხმარების კოეფიციენტით, სასამართლო ხელისუფლებას ამ ეტაპზე არ აუმოქმედებია მედიაცია სავალდებულო ფორმით, რაც მეორე მხრივ,[28] თვით ამ ინსტიტუტის დიდი გამოწვევაა, რადგან მისი გამოყენების და ცნობადობის ზრდა არ ხდება იმ ტემპით და მოცულობით, რაც შეიძლება იყოს საჭირო. დღეისათვის საქართველოში არსებობს სასამართლო მედიაცია, თუმცა ის ფაქტობრივ წარმოადგენს სასამართლოსთან არსებული მედიაციის ევროპულ მოდელს, რადგან ქართულ რეალობაში მოსამართლე და სასამართლო მოხელე მედიატორის სტატუსით არ სარგებლობს,[33] არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან დაფუძნებულია მედიაციის ცენტრი, რომლის ბაზაზე საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ აკრედიტირებული მედიატორები,პილოტის ფარგლებში, უშუალოდ სასამართლოდან გადმოგზავნილი მედიაციის საქმეებს იღებენ წარმოებაში, ხოლო ცენტრის მედიატორები არ წარმოადგენენ სასამართლოსთან რაიმე სახით დაკავშირებულ ან ანგარიშვალდებულ პირებს.

[33] ირაკლი ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები.სადისერტაციო ნაშრომი.თბილისი 2018 წ.გვ 226

დღევანდელი რეგულირების თანახმად კერძო მედიაცია, როგორც ასეთი კანონის დონეზე არ ფუნქციონირებს, რა თქმა უნდა, ყველას აქვს იმის უფლება სასამართლოს გარეშე მოახდინოს შეთანხმების მიღწევის მიზნით მედიაციის პროცესის წარმოება, თუნდაც აკრედიტირებული მედიატორის ჩართულობით, თუმცა მედიაციაში მიღწეული შეთანხმების აღსრულების ის სტანდარტი, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისთ გათვალისწინებულ სასამართლო მედიაციის დროს გამოიყენება, არ არის გათვალისწინებული, რაც თავის მხრივ, კერძო მედიაციის დანერგვის ერთგვარი შემაფერხებელი გარემოებაა, თუმცა ამას აქვს ობიექტური ახსნა. თუ სასამართლო არ იქნა დარწმუნებული კერძო მედიაციის წარმოების სამართლებრივ საფუძვლებში და რეალობაში ,მედიაციის წარმოებას, რისი სამართლებრივი გარანტიებიც ამ ეტაპზე არ არსებობს, სასამართლო უარს ეტყვის და არ დაადასტურებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით, კერძო მედიაციის დანერგვას რეალური განვითარება არ უწერია საქართველოში.[29] სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო მედიაცია აბსოლუტურად ნებაყოფლობითია მხარეებისთვის, რაშიც იგულისხმება მედიაციაში შეთანხმების მიღწევის კუთხით მხარეთა ნების თავისუფლება, თუმცა ინიცირებული მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღება კანონმდებლობის თანახმად აუცილებელია რომ სასამართლო მედიაციის პროცესი იყოს კონფიდენციალური. როგორც მედიატორს, აგრეთვე მოდავე მხარეებს ან მის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლობა გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის საქმის განხილვისას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნა დადგენილი. [34]

ისევე, როგორც მხარეს ან მის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

---

[34] ირაკლი ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები.სადისერტაციო ნაშრომი.თბილისი 2018 წ.გვ 227

აღნიშნული რეგულაცია მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მედიაციის დანერგვის პირველ ეტაპზე, რათა არ მოხდეს არაკეთილსინდისიერი მხარის მხრიდან მედიაციაში გაჟღერებული ინფორმაციის და თავად მედიაციის პროცესის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება და მეორე მხარის ინტერესების უგულვებელყოფა,რითაც შეიძლება მედიაციისადმი ნდობა დაეკარგოს მომხმარებელს. აღნიშნულით უზრუნველყოფილია მედიატორის საპროცესო გარანტიები და მის საქმიანობაში რაიმე სახის ჩარევა თუნდაც მოკვლევის ორგანოების მხრიდან გამორიცხულია.

თავი 3. მედიაციის ამერიკული და კანადური მოდელი

3.1. მედიაცია ამერიკაში

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ტერმინი დავა. ამერიკული სამართლის ენციკლოპედია განმარტავს, რომ "დავა"არის კონფლიქტი ან წინააღმდეგობა, პრეტენზიებისა და უფლებების კონფლიქტი; ერთის მხრივ უფლების, პრეტენზიის ან მოთხოვნის დადასტურება, მეორეს მხრივ, საპირისპირო პრეტენზიები ან ბრალდებები. იგი წარმოადგენს სამართალწარმოების საგანს;[35] ,რაზეც ძირითადად სასამართლოში შეაქვთ სარჩელი და რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, იძახებენ ნაფიც მსაჯულებს და მოწმეებს კითხავენ. შრომითი დავა არის ნებისმიერი უთანხმოება დამსაქმებელსა და მის თანამშრომლებს შორის .მაგალითად: მმართველობაზე, საათებზე, ხელფასებზე, და დასაქმების პირობებზე .[46] ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნ ათელია, რომ საჭიროა დავის მოგვარების ისეთი მეთოდი, რის საფუძველზეც დავა[36] გადაწყდება და ასევე აღდგება მხარეებს შორის ურთიერთობების ბალანსი.

[35] Lekota v Editor, 'Tribute' Magazine and Another 1995 (2) SA 706 (W)

[36] BOULLE L 1998. Mediation: Principles, process, practice. Chatswood: LexisNexus. 2012. Promoting rights through court-based ADR? South African Journal on Human Rights 28(1):1-17

შუამავლობა ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან მეთოდთაგანია, რომელიც გამოიყენება დავების გადასაწყვეტად. დავების ალტერნატიული გადაწყვეტა, ასევე ცნობილია როგორც ADR, გულისხმობს დავების გადაწყვეტის ნებისმიერ პროცედურას სამართალწარმოების გზით.

მედიაცია ADR. ფორმაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მექანიზმებსა და პროცესებს, რომლებიც

შექმნილია მხარეთა დასახმარებლად, რათა მათ მოაგვარონ დავა ეფექტურად. ეს პროცესები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ოფიციალური სამართალწარმოების პროცესები, შემდეგი მიზნების გათვალისწინებით: • განტვირთონ სასამართლო პროცესებისგან , ასევე თავიდან აიცილონ ზედმეტი ხარჯები და შეფერხება.

• ხელი შეუწყოს სამართლიანობას.[37]

• საზოგადოების დაინტერესების გაზრდას დავის მოგვარების პროცესში.

. უზრუნველყოს დავების უფრო ეფექტური გადაწყვეტა.

თავდაპირველად ADR კონცენტრირებული იყო არბიტრაჟზე, როგორც ჩვეულებრივი სასამართლო პროცესის ალტერნატიული პროცესი. შემდეგ კი დაინერგა სავალდებულო შუამავლობად, როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმი, სამოქალაქო სამართლის სისტემაში. ხალხი მიუბრუნდა საარბიტრაჟო სასამართლოს, რათა თავიდან აეცილებინათ დამღლელი პროცესები. ანუ მხარეებს შეეძლოთ, სასამართლოში წასვლის ნაცვლად, თავად აერჩიათ და დაენიშნათ პიროვნება,რომელიც გადაწყვეტდა მათ დავას.[38] ADR–ის ყველაზე გავრცელებული ტიპებია არბიტრაჟი და დავის მოგვარება შუამავლის საშუალებით. საარბიტრაჟო პროცესი დაიწყება მაშინ, როდესაც შერიგების პროცესი ჩაიშალა, რადგან მხარეთა შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს დავის გადაწყვეტა საარბიტრაჟო გზით. საარბიტრაჟო განხილვაზე ორივე მხარეს

[37] MARNEVICK C 2015 Mediation practice in the magistrates court. South Africa: LexisNexis.: 51 SALC (SALC). Alternative dispute resolution 1997:13-14.

[38] CCMA “Conciliation” http://www.ccma.org.za/Advice/CCMA-Processes/Conciliation (accessed on 19 August 2017).

ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე. შემდეგ კი კომისარი გამოიტანს განჩინებას საკითხის შესახებ. მოცემულ ბრძანებას ეწოდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და იურიდიულად სავალდებულოა ორივე მხარისთვის. ამ თვალსაზრისით არბიტრები მოქმედებენ შერიგების, მედიაციის საშუალებით. საარბიტრაჟო კომისია (CCMA), რომელიც არის დავების გადაწყვეტის ორგანო, შეიქმნა LRA, 1995 წელს . შერიგება ყველაზე ხშირად გამოიყენება შრომით დავებში. კომისარი ხვდება მხარეებს და ცდილობს დავის მოგვარებას შეთანხმების გზით. ამ პროცესის დროს მხარე შეიძლება გამოცხადდეს პირადად, ან მის მაგივრად პროფკავშირის წარმომადგენელი წარსდგეს.

3.2. მედიაციის ინსტიტუტის ისტორიული განვითარება აშშ-ში

აშშ-ში მედიაცია, კოლონისტების დროიდან არსებობდა ,როგორც მხარეთა მორიგების მიზნით, მესამე ნეიტრალური პირის (მედიატორის) დახმარებით წარმართული პროცესი. თუმცა მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატივა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა, როდესაც

აშშ-ში სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობამ და უკმაყოფილებამ იმატა.

მედიაციის პროცესი სხვადასხვა შტატში სხვადასხვა ტრაექტორიით მიმდინარეობდა ,რაც დამოკიდებული იყო მედიატორთა, აკადემიური წრეების წარმომადგენელთა, მოსამართლეთა განსხვავებულ შეხედულებებსა და მიდგომებზე.[39]

განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება 1976 წლის აპრილში ჩატარებული, ფაუნდის კონფერენცია (Pound conference), სადაც ორასზე მეტი მოსამართლე, ადვოკატი და მეცნიერი განიხილავდა მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზებსა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის საკითხს.

[39] Brand *et al*

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა კონფერენციის შემდგომ, აშშ გახდა პირველი სახელმწიფო, სადაც სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია განხორციელდა.

1970–იან წლებში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ჯასტინ სტენლის მეუღლე - მელინდას, ჰქონდა დავა ერთ-ერთ შემსრულებელ კომპანიასთან. იგი მისგან მოითხოვდა დეფექტური

პროდუქციის შეცვლასა და გადახდილი თანხის ანაზღაურებას. მოთხოვნა უშედეგოდ დამთავრდა რის შემდეგაც მან მიმართა იურისტ მეუღლეს.

აღნიშნულით ინსპირირებულმა ჯასტინ სტენლიმ მოგვიანებით დააარსა მცირე დავების გადაწყვეტის სპეციალური კომიტეტი, რომლიც შექმნა იმისათვის რომ მოეძიებინა ან განესაზღვრა დავის გადაწყვეტის საშუალებები ,რომლებიც წარმატებით და ეფექტურად გადაჭრიდა მათ. აღნიშნული კომიტეტის ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდა პროფესორი ფრენკ სანდერი, რომელსაც ჰქონდა პრაქტიკული

გამოცდილება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენების მიმართულებით და წარმოდგენდა არბიტრს, კომერციული და შრომითი დავების

გადაწყვეტის პროცესში. 1976 წელს. კერძოდ, 7-9 აპრილს, მინესოტაში გამართული

კონფერენციის ფარგლებში, პროფესორმა სანდერმა წამოაყენა მოსაზრება, რომლის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სასამართლოს ტრანსფორმაცია. მას მიაჩნდა რომ , ნაცვლად დაწესებულებისა, სადაც გადაწყვეტილება ერთპიროვნულად გამოაქვთ მოსამართლეებს, სასამართლო უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთიან სივრცედ, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებდა დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმებს,ეს მდგომარეობდა მრავალსარკმლიანი სასამართლოს შექმნის იდეაში . მისი ინიციატივით, დავის სასამართლოში აღძვრის შემდეგ, სასამართლოს დახმარებით მხარეებს მიეცემოდათ საშუალება აერჩიათ დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალებები, რომელიც ყოველი საქმის ინდივიდუალური

მახასიათებლების გათვალისწინებით ჩაითვლებოდა ყველაზე გონივრულად. კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა სენდერის ინიციატივას. მის ნაცვლად მხარი მოიწონეს წინადადება, შექმნილიყო დამოუკიდებელი ინსტიტუცია - ე.წ. „სამეზობლო სამართლის ცენტრი— (Neighborhood Justice Center) იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც მიეღწიათ დასახული მიზნისთვის და შესაძლებელი გამხდარიყო მოქალაქეთათვის დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატივების შეთავაზება.[40] ამრიგად, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის საწყის ეტაპზე, ამერიკული სასამართლოები მოდავე მხარეებს სთავაზობდნენ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა მექანიზმებსაც,მაგრამ მათ შორის მედიაციამ თანდათანობით წამყვანი ადგილი მოიპოვა. ამას კი ხელი შეუწყო აშშ-ში მიმდინარე ფინანსურმა კრიზისმაც. პროფესორ სარდერის იდეა მრავალჯერ გახდა კრიტიკისა და განსჯის საგანი - არაერთგზის გამოითქვა შეხედულებები, რომლის თანახმადაც მორიგება და მედიაცია სასამართლოს ხელს უშლის განმარტოს სამართლის ნორმები, იგი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის დამკვიდრებას და მეტიც - შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას. კრიტიკოსთა შორის იყო იელის უნივერისტეტის პროფესორი ოვენ ფიზი. მან 1984 წელს იელის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „მორიგების წინააღმდეგ“,რომელშიც განმარტავდა, რომ მორიგების მეთოდი შესაძლებელია გამოიყენებოდეს მშვიდობის მისაღწევად, თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას.

მის გამოყენებას მხარი დაუჭირა ეტაპობრივად და თანამიმდევრულად შექმნილმა სხვადასხვა სამართლებრივმა ინსტრუმენტებმა და სასამართლო აქტებმა.

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა,აშშ წარმოადგენს პირველ სახელმწიფოს, რომელშიც მედიაცია გამოიყენება როგორც სასამართლოში მიმართვამდე, ასევე პირველი ინსტანციის, აპელაციის და შტატების უზენაეს

[40] ანა გურიელი.დისერტაცია. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში.2019წ გვ 94

სასამართლოებში საქმის სამართლისა და სამართლიანობის განხორციელების შესაძლებლობად.

3.3. მედიაციის მოდელები

ტერმინი მედიაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც პროცესი, რომლის დროსაც შუამავალი ეხმარება დავის მხარეებს, მოაგვარონ სადავო საკითხები მხარეებს შორის დისკუსიის გზით. მედიატორი ეხმარება მხარეებს, დაადგინონ საკითხები, დასახონ პრიორიტეტები, გამოავლინონ კომპრომისის სფეროები და შეეცადონ დავის გადაწყვეტას ეს პროცესი ჩამოყალიბებულია მაგისტრატთა სასამართლოს წესების 73-ე წესში. ეს კიდევ უფრო ხაზგასმულია მაგისტრატთა სასამართლოს 72-ე მუხლში. განასხვავებენ მედიაციის ოთხ მოდელს, კერძოდ: **Settlement**(მოგვარება) მხარეთა შორის მოლაპარაკებების წახალისება საერთო შედეგის მისაღწევად. ამრიგად, შუამავალი მიზნად ისახავს მხარეების ინდივიდუალური პოზიციიდან გადატანას კომპრომისზე, რომელიც ორივე მხარეს მოერგება.[51] პოზიტიური მოლაპარაკებები ამ მოდელის კარგი მაგალითია, რადგან მხარეები მოლაპარაკებას აწარმოებენ უკვე ოფიციალურად ჩამოყალიბებული პოზიციისკენ და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებას ცდილობენ. შუამავალი მხოლოდ განსაზღვრავს, თუ რაში მდგომარეობს თითოეული მხარის მდგომარეობა და დამაჯერებელი არგუმენტების

საშუალებით, მიყავს ისინი უფრო კომპრომისული პოზიციისკენ.

გამოხატვაში. ამ მოდელის ან მეთოდის გამოყენების მიზანია შედეგზე გასვლის ვარაუდი.

Facilitative (ფასილიტატორი) ამ მოდელში უპირველესი ყურადღება გამახვილებულია დაეხმარონ მხარეებს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების განსაზღვრაში და შეიმუშავებს მოლაპარაკების ვარიანტებს.[41] ამ შემთხვევაში შუამავალი არ არის აუცილებელი იყოს დავის საგნის ექსპერტი .შუამავლის მთავარი

[41] Boulle 1998:43-47.

მიზანი მხოლოდ მხარეთა შორის კონსტრუქციული მსჯელობის უზრუნველყოფაა, მოლაპარაკების პროცესის გასაუმჯობესებლად.

თერაპიული ამ მოდელის მიზანია დავის ძირითადი მიზეზების მოგვარება ,მხარეთა შორის მომავალი ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. შუამავალი, რომელიც ამ პროცესში დახმარებას გაუწევს ორივე მხარეს , არის კონსულტაციის ან სოციალური სამსახურის თანამშრომელი.[42] ის აცნობს მხარეებს კონფლიქტის მიზეზებს . ამ შემთხვევაში შუამავალი იყენებს პროფესიონალურ თერაპიულ ტექნიკას მთელი პროცესის განმავლობაში, რათა მოაგვაროს ურთიერთობაში გამოვლენილი ნებისმიერი გამოწვევა. ამ პროცესის განმავლობაში, შუამავლები ცდილობენ მხარეებს მიაწოდონ რეალური შეფასება მათი მოლაპარაკებათა პოზიციების შესახებ, სამართლებრივი უფლებების შესაბამისად, მედიატორი ღიად არ გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს საკითხებზე.

ტერმინი შუამავალი შეიძლება განისაზღვროს როგორც პირი, რომელსაც არჩევენ დავის მხარეები. შერჩევა ხდება სასამართლოს წესების 86-ე მუხლის მე -2 პუნქტით გათვალისწინებული სიიდან. დანიშნული შუამავალი შემდეგ მხარეებს ეხმარება მათ დავის მოგვარებაში 80 – ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად. [53] შუამავლის ფუნქცია მიზნად ისახავს ორივე მხარეს შორის დავის მოგვარებას . ის ეხმარება მხარეებს დაადგინონ და გააცნობიერონ დავაში არსებული საკითხები რომ საბოლოო ჯამში, ორივე მხარის მიერ მოხდეს შეთანხმების მიღწევა. შესაბამისად, შუამავალი არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და არ განსაზღვავს პროცესის რომელიმე მხარის სანდოობას.

[42] Brand Steadman & Todd

3.4. შუამავლობის პროცესი და სამართალწარმოება

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მედიაციის უამრავი განმარტება, როგორც ინტერნეტში, ასევე სახელმძღვანელოებში,[54]მედიაციის შემცველი უმთავრესი ელემენტები აშკარაა და თვალსაჩინოდ ჩანს ახალი ზელანდიის პრაქტიკული შუამავლობის, ჯონ ისააკის განმარტებაში, კერძოდ:

• კონსენსუსის პროცესი

• არსებული დავა (ან საპირისპირო ინტერესი).

• დამოუკიდებელი და ობიექტური მესამე მხარის ჩარევა სადავო მხარეებს შორის.

• მოლაპარაკება შუამავლის ხელმძღვანელობით.

• მიზანი არის დავის გადაწყვეტა .

მედიაციის პროცესი მიზნად ისახავს,[43] მათი კლიენტების სასამართლოში მონაწილეობის მინიმუმამდე შემცირებას. ამასთან, შეუძლებელი იქნება, რომ

მთლიანად გამორიცხონ იურისტები ამ პროცესისგან, რადგან ისინი უნდა იყვნენ შეთანხმების დასრულების ნაწილი. სამართალწარმოების პროცესში მხარეების შეთანხმება, ემყარება საჭირო შედეგს. მხარეებს შორის ფაქტობრივი მოლაპარაკებები შემდეგში უნდა გაგრძელდეს, რათა მათი სამომავლო ურთიერთობები დალაგდეს. ამასთან, შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს სასამართლოს განკარგულებით, რომელიც მხარეებს მისცემს უფლებამოსილებას, განახორციელონ ის. ამ შემთხვევაში ფულადი ხარჯები მოდავეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომაა რომ მხარეები ირჩევენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმებს,რათა თავიდან აიცილონ ზედმეტი ხარჯი. მოცემულ წარმოებაში მთავარი მოთხოვნაა,[44] რომ ორივე მხარე ჩაერთოს პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიაცია ვერ მიაღწევს შედეგს დავის უმოკლეს დროში და ყველაზე ეფექტური გზით გადაჭრის მიზანს. ხშირად ბრალდებულები ამ

---

[43] Boulle 1998:28. 54 Brand Steadman & Todd 2012:16. 55 Brand et al 2012: http://www.justice.gov.za/legislation/notices/2017/20170929-gg41142_rg10763_gon1055_Rules.pdf

[44] Tokiso Dispute Settlement “The dispute resolution digest” 2015:49.

პროცესში მიზანმიმართულად თანამშრომლობენ, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია მათი ინტერესით, რაც იწვევს უფრო მეტ ხარჯებს და საქმის გახანგძლივებას.

ასეთ შემთხვევებში აუცილებელია საქმის სასამართლოში გაგარძელება. მედიააციის პროცესს ბევრი უპირატესობა აქვს , ვიდრე ჩვეულებრივი სასამართლო განხილვას. მედიაციის პროცესი კერძო გარემოში ტარდება და პროცესის განმავლობაში განხილვები განიხილება, როგორც კონფიდენციალური. ეს არის მოქნილი პროცესი, რომელიც ტარდება არაფორმალურ გარემოში. სამართალწარმოების დროს კი პროცესი მიმდინარეობს ღიად სასამართლოში, დანარჩენი კანონიერი წარმომადგენლებისა და საზოგადოების წინაშე. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო დარბაზში მედიაც კი დაიშვება. გადატვირთული სასამართლოებისა და გადატანილი პროცესების ფონზე, შუამავლობის პროცესი უდავოდ უფრო სწრაფი პროცესია[45] ვიდრე სასამართლო და საარბიტრაჟო განხილვა.

საგულისხმოა რომ სამოქალაქო დავების დასრულების დაჩქარება ხდება რესურსების არა ეფექტური გამოყენებით.

სავალდებულო მედიაცია განტვირთავს სასამართლოებს, მიუხედავად იმისა თუ ის როგორ წარიმართება. მხარეებმა ზუსტად იციან საქმის ირგვლივ არსებული სიტუაცია, რადგან ისინი ამ პროცესს თვალს ადევნებენ და სასამართლოში საქმის გაგრძელება მათთვის კვლავ ხელმისაწვდომია. შედეგი შეიძლება დადგეს რომელიმე მხარის სასარგებლოდ და ის შეიძლება კვლავ გასაჩივრდეს, თუ რომელიმე მხარე არ დაკმაყოფილდება. მხოლოდ საბოლოო სააპელაციო პროცესის დასრულების შემდეგ იღებს სასამართლო საჭირო გადაწყვეტილებას.

მედიაცია ფინანსურად მომგებიანი და დროში ეფექტური პროცესია ,მაგრამ ის არ უნდა იქნას განხილული, როგორც პროცესი ხარვეზების გარეშე. ADR- ს და შუამავლობას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარეები, მაგრამ ისინი მაინც

[45] Act 66 of 1995. 58Maclons 2014 Department of Labour "Basic guide to the Commission of Conciliation, Mediation and Arbitration" http://www.labour.gov.za/DOL/legislation/acts/basic-guides/basic-guide-to-the-commission-for-conciliationmediation-and-arbitration-ccma (accessed on 29 August 2017).

დადებითად განიხილება. ერთ-ერთი უარყოფითი მხარე შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება პროცესისადმი. მხარეები უნდა იყვნენ სრულად გულწრფელები ერთმანეთთან. კეთილსინდისიერება შეიძლება გახდეს პრობლემა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავის მიზეზი ერთ-ერთი მხარის მხრიდან არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. შესაძლოა, ერთმა მხარემ მედიაციის პროცესში კიდევ ერთხელ სცადოს მეორე მხარის მოტყუება.

მედიაციის პროცესში მხარეები თანხმდებიან,რომ შუამავლმა განიხილოს სადაო საქმე და შესაბამისად ამით უარს ამბობენ იმ დაცვაზე, რომელიც უნდა ჰქონოდათ სასამართლო პროცესზე[59], სადაც გამოცდილი სასამართლო მოხელეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები დაიცავდნენ მათ ინდივიდუალურ უფლებებს. თუმცა ყოველთვის არ არის შუამავლობის პროცესი წარმატებული და დავა გადაუჭრელი შეიძლება დარჩეს,ამიტომ მხარეები იძულებულები არიან ,ისევ სასამართლოს მიმართონ, რათა საბოლოოდ მოხდეს დავის მოგვარება ოფიციალური პროცესის გზით.

3.5. მედიაცია კანადაში

კანადის საკანონმდებლო სისტემა ემყარება ინგლისურ და ფრანგულ სისტემებს. კანადის უზენაესი სასამართლო უმაღლესი ინსტანციაა. კანადაშიც გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართლიანობის სისტემაზე, რომელიც დაგროვდა წლების განმავლობაში.[46]

კანადის მთავრობა დარწმუნდა, რომ მედიაციის გაზრდა ხელს შეუწყობდა სამართლიანობის ხელმისაწვდომობას და გარკვეულწილად თავიდან აცილებული იქნებოდა გადატვირთული სასამართლოები.

დებულებები, რომლებიც მხარს უჭერენ მედიაციის მოთხოვნებს, ახლა გათვალისწინებულია კანონმდებლობაში, სასამართლო

[46] Marnewick 2015:5-6.

დირექტივებში და წესებში. მხარეები შუამდგომლობას მიმართავენ ერთხელ, ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც ცალსახად არ არის ნათქვამი, რომ მხარეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა მედიაციის პროცესში. ისინი პირველ რიგში უნდა შეთანხმდნენ, რომ მონაწილეობას მიიღებენ მედიაციის პროცესში.[47] შუამავლობის შესახებ ეს შეთანხმება უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით. სწორედ შუამავლობითი მოსამსახურე დაეხმარება მხარეებს მედიატორის დანიშვნაზე.

თუ მედიაციის პროცესში მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა შუამავლობის დებულება იქნას კანონიერად აღსრულებული და როგორ უნდა მოვიქცეთ თუ თუ ერთი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებას.[48] შუამავლის დანიშვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მხარეთა პასუხისმგებლობაა, რომ ისინი ერთად შეთანხმდნენ, მონაწილეობა მიიღონ თუ არა მოლაპარაკების პროცესში. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ , შუამავლობის ორგანიზაციებს შეუძლიათ დანიშნონ მედიატორი, რომელიც განსაზღვრავს პროცედურის პირობებს, თარიღს, დროსა და ადგილს, სადაც მოხდება მედიაცია.[49]

კანადაში შუამავლებს შეუძლიათ მოლაპარაკება საფასურის თაობაზე მხარეებთან. მაგალითად, L'Institut de Mediation et d'Arbitrage du Quebec- ის მიერ გამოცემული "Code d Ethique des Mediateurs", ნათქვამია, რომ შუამავლებმა უნდა გაითვალისწინონ დავის სირთულე, საკითხების გადასაჭრელად დახარჯული დრო და ძალისხმევა. შუამავლების ქცევას არეგულირებს მედიაციის ორგანიზაციები,

რათა მათ უზრუნველყონ სათანადო პროცესები სამართლიანობის კუთხით ორივე მხარის დასაცავად.2003 წელს, კანადის იურიდიულმა კომისიამ რეკომენდაცია გაუწია, რომ ADR - ში განათლება მოსამართლეებისთვის გაძლიერებულიყო. უნივერსიტეტებსა და სამართლის სკოლებს ასევე მოუწოდეს გაეძლიერებინათ ADR -

---

[47] SALC 2015:6

[48] Act 24 of 1987 Sec 2.

[49] 09De Jong 2014: An acceptable, applicable and accessible family-law system for South Africa - some suggestions concerning a family court and family mediation http://hdl.handle.net/10500/21648).[63]De Jong 2014:32[64]Klause & Steffek 2013:926.

ის მიმართულებით სტუდენტების მომზადება, თავდაპირველად,[50] კანადის კანონში არ არსებობდა ნორმატიული დებულება, რომელიც დაარეგულირებდა მედიატორთა მომზადებასა და კვალიფიკაციას. ამრიგად, პროფესია იურიდიულად დაცული არ იყო. პოზიცია შეიცვალა საოჯახო სამართლის შუამავლების მიმართ. კანადის ფედერალურმა საკანონმდებლო ორგანომ ცვლილებები შეიტანა რამდენიმე წესდებაში , რომელიც მოიცავს შუამავლობის სავალდებულო საკითხებს, რათა მხარეებმა თავიდან აიცილონ ძვირადღირებული და გაჭიანურებული სამართალწარმოება.[64] სულ 31 წესდება ითვალისწინებს შუამავლობის პროცესის განხილვას. კანადაში კონკრეტულ სფეროებში მედიაციის განხორციელების რამდენიმე მაგალითი ქვემოთ არის მოცემული, რომლებიც ეხება კანადის ზოგიერთ პროვინციას თუ როგორ იყენებენ ისინი ამ პროცესს. Queen Queen- ის Bench Act 54-ე მუხლის მე -2 ნაწილის თანახმად , არასამთავრობო ან ოჯახური სამოქალაქო დავის მხარეები უნდა დაესწრონ მედიაციის სესიებს, სანამ რაიმე სხვა ნაბიჯს გადადგამენ. მედიატორი შემდეგ მოაწყობს მედიაციის სესიას, რომელიც გაიმართება შუამდგომლობების დასრულების შემდეგ. ამ პროცესის განმავლობაში გამოცდილი შუამავლები ეხმარებიან მხარეებს შეთანხმების მიღწევაში. სავალდებულო[65] მედიაციის პროცესის დანერგვის შემდეგ, წლების განმავლობაში მიმდინარე ზრდა აღინიშნა სამოქალაქო შუამავლობის გზით გადასაჭრელი საქმეების რაოდენობის კუთხით. 2007–2008 წლებში სამოქალაქო საქმეების 53% გადაწყდა სავალდებულო სამოქალაქო შუამავლობის პროცესის გამოყენებით. ონტარიოში სასამართლოებში მითითებულია სავალდებულო შუამდგომლობა. პროგრამა შედგენილია სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების დასახმარებლად, საქმის მოგვარების მცდელობამდე, სანამ სასამართლო პროცესი დასჭირდებათ.ამით ისინი ხომ ზოგავენ როგორც დროს, ასევე ფულს.ონტარიოში საოჯახო წესდების შესახებ კანონის შესწორების აქტი 2006 იქნა მიღებული , რითაც შეიცვალა საოჯახო სამართლის კანონი

[50] SYUKUR FA and BAGSHAW DM 2013a. When home is no longer “sweet”: Family violence and Sharia court– annexed mediation in Indonesia

1990 წელს მიღებული,[51] ისე საარბიტრაჟო აქტი (1991წ), ოჯახურ არბიტრაჟებთან მიმართებაში. უზენაესი სასამართლო მხარს უჭერს 1996 წლის მოთხოვნას - მხარეები, რომლებსაც ჰყავთ შვილები და რომელთაც სურთ განქორწინება ან / და განცალკევება, უნდა დაესწრონ მინიმუმ ერთი სავალდებულო მედიაციის სესიას. კოდექსის საპროცესო 814.3 მუხლის თანახმად, იმისათვის რომ[67] სასამართლოში შეიტანონ განცხადება ოჯახური დავის შესახებ, როგორიცაა ქონების გაყოფა ან მოვლა, მხარეები პირველ რიგში უნდა დაესწრონ არაფორმალურ სხდომას ოჯახის შუამავალთან, რომელიც აცნობებს მათ შუამავლობის პროცესის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ნებაყოფლობითია ეს პროცესი, მხარეებს მოეთხოვებათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროცესში კეთილსინდისიერი, მეგობრული გადაწყვეტის მისაღწევად[52] კანადაში სასამართლოზე დაფუძნებული შუამავლობის პროცესი იწყება შუამდგომლობის მოთხოვნით, რომელიც წარდგენილია ერთ-ერთი მხარის მიერ. ამასთან, არსებობს სამართლებრივი ჯარიმები იმ მხარისათვის ვინც ვერ მონაწილეობს შუამდგომლობის პროცესში, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე შეიძლება მოგვარდეს მედიაციის გზით. კანადა ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი ქვეყანაა და დიდ ინვესტირებას აკეთებს სამოქალაქო სამართლიანობის სისტემაში. უფრო საინტერესოა აღინიშნოს, რომ კანადაში ადვოკატებს ევალებათ დაადასტურონ, რომ მათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობები, განიხილონ დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტები თავიანთ კლიენტებთან ერთად სასამართლოში საქმის დაწყებამდე. ეს პასუხისმგებლობა[53] მოცემულია კანადის განქორწინების შესახებ კანონის 9-ე (2) და 9 (3) ნაწილებში .

ამრიგად, კანადის მთავრობამ აღიარა ADR პროცესების დანერგვის მნიშვნელობა ოჯახური დავების უფრო თანამშრომლობითი და სათანადო გადაწყვეტისთვის და მთელი კანონმდებლობის უმეტესი ნაწილი ამ საკითხების

[51] Syukur & Bagshaw 2013b:371 SALC Family Dispute Resolution: Issue paper 31 2015:226
[52] Marnewick 2015:25.
[53] DiSAC “Mediation accreditation standards” 2011:3.

კერძო განხილვის საშუალებას იძლევა.[54] 80-იანი წლების განმავლობაში კანადის განქორწინების შესახებ კანონმა მოუწოდა მხარეებს მონაწილეობა მიიღონ შუამავლობაში, ოჯახური დავის კეთილდღეობის მოსაგვარებლად კანადაში, არსებული პროვინციების უმრავლესობა ოჯახურ დავაში მონაწილე მხარეებს საშუალებას აძლევს, თავიანთი საკითხებით საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართონ პირადი განჩინების მხარეები არბიტრაჟს ირჩევენ და შემდეგ თანხმდებიან საარბიტრაჟო შეთანხმების პირობებზე. ისინი საბოლოოდ ვალდებულნი არიან დათანხმდნენ არბიტრის გადაწყვეტილებას, რადგანაც შუამავლობა ნებაყოფლობითი პროცესია და შედეგი მხარეების კონტროლქვეშაა, ითვლება, რომ მედიაცია სასურველი პროცესია. იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრები თამაშობენ გადამწყვეტ როლს, მნიშვნელოვანია, რომ საოჯახო სამართლის არბიტრებმა დააკმაყოფილონ სპეციფიკურ მომზადებისა და პრაქტიკის სტანდარტები. 2014 წლის იანვრიდან,[55] კანადის დასავლეთ პროვინციაში, ყველა საოჯახო სამართლის არბიტრი, უნდა აკმაყოფილებდეს პრაქტიკის ახალ მინიმალურ სტანდარტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია საოჯახო სამართლის შესახებ კანონის 2011 წლის რეგლამენტში.[56] არბიტრები პროფესიით იურისტები, ფსიქოლოგები ან სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ. მათ დამატებით უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ათი წელი გამოცდილება საოჯახო სამართლის ანალოგიურ სფეროში და გავლილი სათანადო ტრენინგი საარბიტრაჟო, საოჯახო სამართლის, გადაწყვეტილების მიღების, უნარების განვითარებისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებამ დაამტკიცა რომ საოჯახო მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება და წარმატებითაც იმკვიდრებს თავს როგორც მედიაციის პროცესში ყველაზე მოთხოვნადი.[57] ოჯახური კონფლიქტები ყველაზე სენსიტიური

[54] Court-annexed mediation is provided for in the Supreme Court Regulation No. 1 of 2008.
[55] DiSAC "Comments on the court-annexed mediation rules of the Magistrates' court
[56] 2015:22. Maclons 2014:73. Constitution, 1996 Sec 76(1)(d).
[57] BRAND J, STEADMAN C and TODD C 2012 Commercial mediation: A user's guide. Cape Town: JutaParliament of Canada. Divorce Act. R.S.C.1985.

თემაა, ამიტომ მედიაცია ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა. სასამართლო ფორმალურობის გვერდის ავლის შემდეგ, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა მხარეებს ერთმანეთის მიმართ პოზიტიურად განაწყობს და მშვიდობიანი ურთიერთობის შენაჩუნებისაკენ უბიძგებს.

3.6. მოდალური კანონი მედიაციის შესახებ

მოდალური კანონის (მიღებულია აშშ-ს ეროვნულ კონფერენციაზე და შედგება 15 ნაწილისგან. მეორე ნაწილი მოიცავს ისეთ ზოგად საკითხებს, როგორიცაა: კომუნიკაცია მედიაციის პროცესში, მედიაციის ცნება, მედიაციის პროცესის მონაწილე მხარე და პირი, რომელიც არ მიიჩნევა მხარედ, თუმცა პროცესში მონაწილეობს და რა თქმა უნდა მედიატორი.

ასევე განსაზღვრავს ვინ არის პირი, რა მიიჩნევა პროცესად, რა არის ოქმი და ხელმოწერა. მედიაცია განმარტებულია როგორც პროცესი, რომლის მეშვეობით მედიატორი აადვილებს კომუნიკაციასა და მოლაპარაკებას მხარეებს შორის, შესაბამისად, ეხმარება მათ მიაღწიონ ნებაყოფლობით შეთანხმებას,[58] ხოლო მედიატორი ესაა პირი, რომელიც წარმართავს მედიაციის პროცესს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი ერთმანეთისაგან განასხვავებს პროცესში მონაწილე პირებს: პროცესის მხარეები და პირები, რომლებიც მონაწილეობენ მედიაციაში, მაგრამ არ გვევლინებიან მხარეებად. არამხარე მონაწილე - ესაა პირი, რომელიც არ წარმოადგენს არც მხარეს, არც მედიატორს, თუმცა მედიაციის პროცესში მონაწილეობს. ასეთი პირები შესაძლოა იყვნენ მაგალითად: ოჯახის წევრები, ექსპერტები, მეზობლები, თარჯიმნები, იურისტები, ხოლო მედიაციის მხარე - ესაა პირი, რომელიც მონაწილეობს პროცესში და მასზეა დამოკიდებული თუ რა შედეგით დასრულდება მედიაცია. პირი განიმარტება, როგორც ფიზიკური პირი, კორპორაცია, ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ღია სააქციო საზოგადოება, ასევე სხვა

[58] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013 გვ.40

ნებისმიერი სამართლებრივი წარმონაქმნი, რომელიც მედიაციის პროცესში მონაწილეობს. პროცესი აღნიშნავს ადმინისტრაციულ, სასამართლო წარმოებას, ასევე წინა-სასამართლო თუ სასმართლოს შემდგომ მოსმენებს, ასევე კონფერენციას ან სხვა მსგავს პროცესს. ოქმი განიმარტება, როგორც ჩანაწერი, რომელიც ინახება ელექტრონული თუ სხვა ხელშესახები ფორმით, რომლის აღდგენა შესაძლებელია. ხელმოწერა ესაა სპეციალური სიმბოლოს აღნიშვნა ჩანაწერზე, რაც ემსახურება დოკუმენტისთვის ძალის მინიჭებას.[59] მესამე ნაწილი განსაზღვრავს მოდელური კანონის მოქმედების სფეროს. UMA-ს მოქმედების არეალში ხვდება თითქმის ყველა მედიაციის პროცესი, იმ შემთხვევაშიც თუ მხარეები თანხმდებიან მედიაციაზე ან თუ პროცესი მიმდინარეობს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა სახელისუფლებო შტოს ინიციატივით.

ამავე დროს, მედიაციის პროცესის წარმართვისას მხარეები და მედიატორი თანხმდებიან, რომ მედიაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გამჟღავნდება. ასევე მოდელური კანონი ეხება მედიაციის ისეთ პროცესს, როცა

მხარეები მიმართავენ პირს, რომელიც თავს მედიატორად მიიჩნევს. ამ აქტის მიხედვით მედიაციად არ მიიჩნევა მოლაპარაკების პროცესი, რომელიც

ა) მიმდინარეობს დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის სამუშაო პირობების რეგულირების მიზნით, ბ) პროცესი, რომელსაც წარმართავს მოსამართლე, ვისაც შესაძლოა მოუწიოს აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება.[60]

გ) პროცესი, რომელიც წარიმართება სკოლების მიერ, სადაც ორივე მხარე მოსწავლეა, ასევე დ) ახლგაზრდების გამოსასწორებელი დაწესებულებების მიერ ორგანიზებული პროცესი, როდესაც მედიაციის ორივე მხარე ამ დაწესებულებაში მცხოვრები პირია. მედიაციის პროცესში გამჟღავნებული ინფორმაცია რჩება საიდუმლოდ და დაუშვებელიამისი გამოყენება სასამართლო მტკიცებულებად.

---

[59] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013 გვ.40

[60] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013 გვ.41

“Privilege” სტატუსი ნიშნავს შემდეგს: 1) მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეს აქვს უფლება არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაცია და მას აქვს უფლება იგივე მოსთხოვოს სხვა მონაწილე პირსაც 2) მსგავსი უფლებით სარგებლობს მედიაციის სხვა მონაწილეც (რომელიც მხარე არ არის).

იმისათვის, რომ სახეზე იყოს რომელიმე მონაწილის თანხმობა ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, მან საკუთარი ნება უნდა გამოხატოს წერილობითი ფორმით ან ზეპირად პროცესის მიმდინარეობისას. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ფარული მიზნებისთვის იყენებს მედიაციის პროცესს და ცდილობს ჩაიდინოს ან დამალოს დანაშაული, იგი აღარ არის დაცული Privilege სტატუსით. მოდელური კანონის მე-6 ნაწილი უფრო დეტალურად განსაზღვრავს „Privilege” სტატუსიდან[61] გამონაკლის შემთხვევებს. პირველი, როგორც ზემოთ აღინიშნა მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გათავისუფლდნენ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებისაგან; თუკი : მედიაციის ინფორმაცია საჯაროა კანონის მოთხოვნების თანახმად; გაჟღერებულია მედიაციის იმ ეტაპზე, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია; ინფორმაციის დაფარვა ქმნის ძალადობის განხორციელების ან სხვა რაიმე დანაშაულის დაფარვის საფრთხეს; მედიატორის წინააღმდეგ შეტანილი იქნა სარჩელი მის არასათანადო ქცევასთან დაკავშირებით.

თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ მედიაციის რომელიმე ნაწილზე ან მთლიან პროცესზე არ ავრცელებენ “Privilege” სტატუსს, მაშინ ისინი თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან დაიცვან აღნიშნული ინფორმაცია გამჟღავნებისაგან. Privilege სტატუსი ასევე აღარ არსებობს, როდესაც სასამართლო მოსმენის დროს აშკარა ხდება, რომ მტკიცებულების წარმომდგენი მხარისთვის მტკიცებულების მოპოვება ინფორმაციის გაუმჟღავნებლად შეუძლებელია და მტკიცებულების მოპოვების ინტერესი უპირატესია. ასეთი ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იქნას სასამართლო პროცესზე, სადაც განიხილება სისხლის სამართლის დანაშაული ან

[61] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013 გვ.42

მედიაციის ხელშეკრულებიდან[62] გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის ფაქტები. მედიატორი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება აღნიშნულ საკითხზე, ან მედიაციის პროცესში მონაწილე იმ პირის არასათანადო ქცევასთან დაკავშირებით, ვინც ამ პროცესში მხარის სტატუსით არ სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მიზნისთვის, გარდა სასამართლო მტკიცებულებისა. განსახილველი აქტის მე-8 ნაწილი აყალიბებს კონფიდენციალურობის ზოგად მოთხოვნას მედიაციის პროცესის მიმართ. გარდა გამონაკლისებისა, მედიაციის პროცესი არის კონფიდენციალური მხარეებსა და მედიატორს შორის შეთანხმებულ ან კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. კონფიდენციალურობის ვალდებულება „Privilege" სტატუსისგან განსხვავდება იმით, რომ კონფიდენციალურობა მხარეებს და მედიატორს ავალდებულებს არ გაამჟღავნონ მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია მედიაციის კონფერენციის გარეთ არაფორმალურ წრეებში, მაგალითად მედიაში. მოდელური კანონის მე-7 ნაწილი დაწყებასთან, შეწყვეტასთან ასევე მედიაციის ხელშეკრულების გაფორმებასთან ან მხარეთამდასწრებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მედიატორს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც არ არის "Privilege" სტატუსით დაცული მოდელური კანონის მე-6 ნაწილის შესაბამისად. მედიატორმა შესაბამის[83] უფლებამოსილ ორგანოს (Public agency-ს) უნდა მიმართოს. ამ მუხლის თანახმად მედიატორს ეკრძალება განახორციელოს კვლევა, გააკეთოს შეფასება ან დასკვნა ისეთ საკითხებზე, რომელიც სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა სახელისუფლებო შტოს კომპეტენციას განეკუთვნება. მედიატორს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია მედიაციის პროცესის მსვლელობისას, აცნობოს მათ ძალადობის, მუქარის, გატაცების ფაქტის შესახებ. აქტის მე-9 ნაწილი არეგულირებს მედიატორთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. იგი მიუთითებს, რომ სანამ პირი დათანხმდება მედიატორობაზე, ის ვალდებულია მიზანშეწონილობის

[62] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013გვ.43

ფარგლებში გამოიკვლიოს ყველა ის ფაქტი, რომელმაც შესაძლოა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან აღძრას ეჭვი მედიატორის მიუკერძოებლობასთან მიმართებით, რაც გულისხმობს როგორც ფინანსურ, ასევე პირად დაინტერესებას მედიაციის შედეგთან დაკავშირებით. მედიატორმა უნდა გაითვალისწიონოს მედიაციის მონაწილე ან სავარაუდო მხარესთან მისი წარსული ან არსებული ურთიერთობა. აღნიშნული ინფორმაცია მედიატორმა გონივრულ ვადაში უნდა მიაწოდოს პროცესის მონაწილე მხარეებს სანამ დათანხმდება პროცესში მედიატორად მონაწილეობას. თუ ზემოთ აღნიშნული ფაქტების შესახებ მედიატორმა გაიგო მას შემდეგ რაც თანხმობა განაცხადა მედიატორობაზე, რაც შეიძლება მალე, გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მხარეებს. მედიაციის მხარის მოთხოვნით მედიატორი ვალდებულია[63] თავისი კვალიფიკაციის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია მედიაციის მხარეს. პირი, რომელიც ამ მოთხოვნებს არღვევს აღარ სარგებლობს ზემოთ აღნიშნული „Privilege" სტატუსით. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება მოსამართლეზე. განსახილველი აქტის თანახმად მედიატორს არ მოეთხოვება რაიმე სპეციალური კვალიფიკაცია ან პროფესია. მედიატორი უნდა იყოს მიუკერძოებელი თუ მხარეები მედიატორისგან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ რაიმე სხვაზე არ შეთანხმდებიან. Uniform Mediation Act-ის მე-10 ნაწილი ეხება მედიაციის პროცესში წარმომადგენლების მონაწილეობას. აღნიშნული მუხლი მხარეს აძლევს უფლებას თავისი ინტერსები მედიაციის პროცესში წარმოადგინოს ადვოკატის, ან სხვა მის მიერ შერჩეული პირის დახმარებით.

3.7. მედიაცია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში

აშშ-ის სასამართლო სისტემაში მედიაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს დავების გადაწყვეტის მხრივ და რა თქმა უნდა ამით ამცირებს მოსამართლეების განსახილველ საქმეთა რაოდენობას.

[63] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი 2013გვ.44

მედიაციის მიმდინარეობისას თითოეული მხარე პროცესს გარკვეული წარმატებით ტოვებს. კონკრეტულად რომ განვმარტოთ, თითოეული მხარე გამარჯვებულიც არის და დამარცხებულიც.

პირველ რიგში, მსურს აღვწერო მედიაციის როლი, რომელსაც ის ასრულებს აშშ-ში დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით. შემდეგ ვიმსჯელებთ, თუ როგორ განიხილება საქმეები მედიაციის გზით ვირჯინიის აღმოსავლეთი ოლქის სასამართლოში, სადაც მე ვმსახურობ, ასევე, წარმატებული მედიაციის ზოგიერთ დაბრკოლებასა და მათი გადალახვის გზებზე ჩემი თვალთახედვით. დისკუსიას დავასრულებ იმით, თუ რა როლს ასრულებს მედიაცია მას შემდეგ, როცა სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას და შემდეგ იგი გასაჩივრდება.[64] მედიაციის როლი დავების მოგვარებაში ფედერალურ სასამართლოებში სამართალწარმოების მკაცრად კონტროლირებადი და შეჯიბრებითი ბუნების გათვალისწინებით, მედიაციის თანამშრომლობითი პროცესი წინასასამართლო წარმოების შუაგულში გარკვეულწილად ანომალიურია. მედიაცია, რა თქმა უნდა გულისხმობს, ნების ავტონომიასა და თვითგამორკვევას, მიუკერძოებელი მესამე მხარე კი ეხმარება მოდავეებს ერთმანეთთან ურთიერთობასა და მოლაპარაკებებში, რათა დაეხმაროს მათ დავის წარმატებით დასრულებაში. გარდა სასამართლოს მიერ შეთავაზებული სამედიაციო მომსახურებისა, მხარეებს ხელშეკრულების დადება შეუძლიათ იგივე მომსახურების გამწევ დამოუკიდებელ კომპანიებსა და პირებთანაც. უმეტეს შემთხვევებში ამ კომპანიების მედიატორები ყოფილი მოსამართლეები ან არბიტრები არიან.

თითოეულ თქვენგანს უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი ასეთი კომპანიის სარეკლამო ბროშურა, რომელიც აღწერს მათი მედიაციის პროცესს ეს ბროშურა მოგეწოდათ არა ამ კომპანიის მხარდაჭერის ნიშნად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენის შესაქმნელად, როგორც შემოთავაზებულ მომსახურებებზე, ისე მათ აქტიურ

[64] მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე 2017 წლის 28-29 აპრილი თბილისი, საქართველო გვ88

რეკლამირებაზე იურიდიული პროფესიის ამ მეტად კონკურენტულ სფეროში. ჩვენი სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესები, რომლებსაც აქვეყნებს უზენაესი სასამართლო და ამტკიცებს კონგრესი, სასურველ მიზნად ისახავს „თითოეული საქმისა და პროცესის სამართლიან, სწრაფ და იაფ გადაწყვეტას.“ მიუხედავად ამისა, კონგრესი - აღიარებს რა მკაცრ ფედერალურ პოლიტიკას დავების გადაწყვეტის სასარგებლოდ (მათი განხილვის ნაცლად) - ითხოვს მედიაციის შესაძლებლობის გათვალისწინებას თითოეულ საქმეში.

1998 წელს კონგრესმა მიიღო აქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები სასამართლო მედიაციაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ „კეთილსინდისიერად“. კონგრესმა მეტწილად ცალკეულ ოლქებსა და რაიონებს ანდო მედიაციის პროცედურების შემუშავება, რომლებიც უნდა ყოფილიყო მორგებული ადგილობრივი საჭიროებებსა და ჩვეულებებს. შედეგად, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, აშშ-ს ფედერალურმა სასამართლოებმა შეიმუსავეს წესები, ყველა დირექტივის გათვალისწინებით, დავების ალტერნატიული მოგვარების დასანერგად, რომელსაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში „ADR პროცესად“ მოიხსენიებენ.

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დავების მოგვარების კომიტეტთან[65] თანამშრომლობით, სპეციალურმა კომისიამ, სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების მიხედვით, 2001 წელს შეიმუშავა ერთიანი მედიაციის შესახებ აქტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს პროცედურებს მონაწილეებისა და მედიატორებისათვის. მისი დაკანონება შტატებს შეეუძლია მთელი ქვეყნის მასშტაბით. დღეისათვის იგი მოქმედებს 12 შტატში და მასში ცვლილებები 2003 წელს შევიდა . წელს მის დაკანონებას სხვა შტატებიც განიხილავენ.

მართალია, მედიაციის პროცესში მიმდინარე პროცედურები განსხვავდება სასამართლო რაიონების მიხედვით, მაგრამ ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმის აღწერა, თუ როგორ წარიმართება მედიაცია ვირჯინიის აღმოსავლეთის ოლქის რაიონულ

[65] მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე 2017 წლის 28-29 აპრილი თბილისი, საქართველოგვ89

სასამართლოში,რომელშიც მე ვმუშაობ. ადგილობრივი სასამართლოს წესების მიხედვით, სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოების მხარეებს ეცნობებათ მედიაციის ხელმისაწვდომობაზე და და განემარტებათ თუ როგორ შეეძლებათ მისი მოთხოვნა. ამასთანავე, მხარეები ვალდებულნი არ არიან , შემოიფარგლონ მხოლოდ სასამართლო მედიაციით. წესების მიხედვით, „მხარეებს, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მათთვის მისაღები არასასამართლო მედიატორის ან მიუკერძოებელი მხარის შერჩევა და მისთვის საფასურის გადახდა.“

ამ მიმოცვლის შემდეგ თითოეული მხარე მაგისტრატ მოსამართლეს აწვდის კონფიდენციალურ განცხადებას, რომელშიც გულწრფელად არის შეფასებული მხარის პოზიცია, ადვოკატის ხარჯების ზუსტი რაოდენობა და ის პირობები, რომლებზე მორიგებითაც - მხარის ადვოკატის აზრით - შესაძლებელია დავის სამართლიანად გადაწყვეტა. შემდეგ ისინი პირისპირ ხვდებიან სხდომაზე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 15 წუთიც და მთელი დღეც (ზოგჯერ შემდგომი სესიებიც დაეთმოს), თუმცა ხშირად 2-3 საათში სრულდება. ჩვენს სასამართლოში ერთ-ერთი მოთხოვნაა, მედიაციის სხდომას ესწრებოდეს კლიენტის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს დავის მოგვარების უფლებამოსილება. მედიაციის ერთ-ერთი დაბრკოლებაა მხარეების ან მათი ადვოკატების ღელვა განხილვათა კონფიდენციალობასთან მიმართებით.[66] თუმცა მხარეებსა და მათ კლიენტებს შორის არაფორმალური დისკუსია სხვადასხვა გარანტიითაა დაცული ინფორმაციის გახმაურებისგან. ჩვენი შეფასებით, ფორმალური სასამართლოს მიერ წარმართული მედიაცია უზრუნველყოფს კონფიდენციალობის დამატებით გარანტიებს, რაც ხელს უწყობს დავის მოგვარებას. კანონით, აშშ-ის სასამართლოებში მედიაციისას მედიატორებსა და მონაწილეებს არ აქვთ პროცესის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის გამხელის უფლება ნებისმიერი პირისათვის და ნებისმიერ იმ სასამართლოში, რომელმაც შეიძლება განიხილოს ეს საქმე მომავალში. მონაწილეებს ასევე არ აქვთ უფლება, ინფორმაცია გაანდონ მათ, ვინც

[66] მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე 2017 წლის 28-29 აპრილი თბილისი, საქართველოგვ90

პირდაპირ ან ირიბად არ მონაწილეობს პროცესში. დამატებით, მხარეებს სასამართლო და მედიაცია, როგორც დავების მოგვარების თანამედროვე მეთოდი და შიდა სასამართლო მედიაციის უპირატესობა, შეუძლიათ ხელშეკრულებით გაითვალისწინონ მიღწეული შეთანხმების პირობების კონფიდენციალობაც. მედიაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ხშირად კლიენტის არაგონივრული მოლოდინები საქმის პერსპექტივებთან მიმართებით. ყველა ადვოკატისთვის ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე შეინიშნება საქმის გაზვიადების ტენდენცია კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას. თუმცა, ის დისკუსიები და დაპირებები, რომელთა გამოც მხარემ თავდაპირველად წამოიწყო დავა, შეიძლება თვითონვე გახდეს მისი მოუგვარებლობის მიზეზი. ხშირად კლიენტები საქმეში, მის პროგრესირებასთან ერთად, ემოციურად იხარჯებიან და უჩნდებათ შეგრძნება, რომ მათ „არასწორად მოექცნენ“. ამის გამოსასწორებლად ადვოკატებს მხოლოდ მცირედის გაკეთება შეუძლიათ, თუ სრულად არ დაკმაყოფილდება მათი კლიენტების მოთხოვნები. სწორედ ამ დროს შემოდის პროცესში მედიატორი. როგორც დამოუკიდებელ, გაწვრთნილ ადვოკატებს (და, ხშირად, მოსამართლეებს), მათ უნიკალური პოზიცია უკავიათ თითოეული მხარის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად - ხშირად მკაცრებიც არიან (თუმცა რეალისტურად) - დავის არსებით ნაწილში წარმატების შანსებთან მიმართებით, თუკი ისინი მორიგებას არ დათანხმდებიან. ეს პირდაპირი კავშირი მედიატორსა და კლიენტს შორის ხშირად წარმატებული მედიაციის გასაღებია.[67]

ცხადია, ყველა მედიაცია პირველ ინსტანციის დონეზე წარმატებული არ შეიძლება აღმოჩნდეს და ხშირად დავა, რომელიც მედიაციისას წარუმატებლად დასრულდა, გადაწყდება ხოლმე მისი არსებითი განხილვის შედეგად. ფედერალურ სასამართლო სისტემაში მედიაციის პროცესი პირველი ინსტანციის დონეზე არ მთავრდება. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმის გასაჩივრების შემდეგაც.

[67] მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე 2017 წლის 28-29 აპრილი თბილისი, საქართველო გვ. 91

ფედერალური წესების 33-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პროცესის შესახებ, სასამართლომ შეიძლება მიუთითოს ადვოკატებს და, სათანადო შემთხვევებში, მხარეებს, მიიღონ მონაწილეობა ერთ ან მეტ სხდომაში ნებისმიერი იმ საკითხის განსახილველად, რომელიც დაეხმარება საქმის გადაწყვეტას. სასამართლოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ან თვითონ წარმართოს ამგვარი სხდომა, ან სხვა პირი დანიშნოს პროცესის დასარულებლად. შემდეგ გამოსცეს ბრძანებები პროცესის გაკონტროლებადი თუ შემდგომში მორიგების მიზნით. საქმე მედიაციისთვის შეიძლება შერჩეული იქნეს (1) რეფერალის საფუძველზე; (2) მხარის კონფიდენციალური მოთხოვნის საფუძველზე; ან (3) მოსამართლეთა პალატის რეფერალის საფუძველზე.

დასკვნა

იმისათვის, რომ საქართველოში სასამართლო მედიაცია ეფექტურად წარიმართოს, საჭიროა ისეთი მოდელის შემუშავება და ამ ინსტიტუტის ისეთი ფორმით ამოქმედება, რომელიც წარმატებით უპასუხებს ქართული მართლმსაჯულების წინაშე არსებულ გამოწვევებს, იგი ამავდროულად უნდა იყოს მისაღები მხარეთათვის.

ნაშრომის ფარგლებში შედარებითი სამართლებრივ კვლევის მეთოდის გამოყენებით გამოვლენილი შედეგებით დასტურდება, რომ მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული, ეფექტური და წარმატებული მეთოდია. კონფლიქტში მყოფი მხარეები მისი გამოყენებით მცირე დროის პერიოდში და ნაკლები ფინანსური ხარჯით აგვარებენ წარმოქმნილ პრობლემებს და ერთმანეთთან ურთიერთობებს.

მედიაციის შემთხვევაში აღარ მოქმედებს ან ავტონომია, ან მოთხოვნის სამართლიანი დაკმაყოფილება, მედიაციის პროცედურის დროს მხარეებს არა მარტო უნარჩუნდებათ თავიანთი უფლებამოსილებების დიდი ნაწილი მოლაპარაკებების წარმოებისას, არამედ იმავდროულად ეძლევათ მათთვის მისაღები ვარიანტით კონფლიქტის გადაწყვეტის დიდი შანსიც. მედიატორის საპროცესო უფლებამოსილებების მოცულობა ამომწურავად ზუსტად განისაზღვრება. ეს ნიშავს, რომ არც მეტი, არც ნაკლები, მედიატორს ზუსტად ის საპროცესო უფლებამოსილებები გაჩნიათ, რომლებიც მას მხარეებმა მიანიჭეს. მას არა აქვს არც განსჯის, არც მორიგების, არც დასკვნების გამოტანის, არც შეფასების უფლება, მას არა აქვს არავითარი გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომელიც კი შეიძლება შეეხოს გადასაწყვეტ პრობლემას. მედიატორის ვალდებულებაში ასევე არ შედის მხარეთათვის მათი პრობლემის გადაწყვეტის პროექტის წარდგენა, მედიატორი თან ახლავს მხარეებს კონფლიქტის აღმოფხვრის გზაზე ,მაგრამ ასეთ ვთქვათ არ მიუძღვის მათ ამ გზაზე. მას შეუძლია ინფორმაციის შეგროვება, მისი განზოგადება, ჩანასანიშნის შესრულება, პერსპექტივის აღნიშვნა, შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა, მაგრამ მას არა აქვს უფლება

ზეგავლენა მოახდინოს მორიგების პროცესზე საკუთარი პოზიციის მეშვეობით. მხარეებმა უნდა აღმოფხვრან კონფლიქტი თვითონ, თავიანთი პოზიციის ფარგლებში. ამ შემთხვევაში კონფლიქტის მხარეები მედიაციის დროს ინარჩუნებენ ავტონომიას მაღალი ხარისხით. მედიატორი თავის ნებას კი არ ახვევს მხარეებს, არამედ დავის გადაწყვეტა საბოლოო ჯამში მხარეთა მიერ ერთობლივად გამოვლენილი ნების შედეგია. ეს უჩენს მხარეებს რწმენას, რომ მოლაპარაკების შედეგები ზუსტად ასახავს მათ ნებას. გარდა ამისა,მედიაციის ფარგლებში მიღწეული კონსესუსი შეიძლება ეხებოდეს მხარეთა პირად ურთიერთობებსაც. კონსესუსი შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც შეიძლება არასდროს ჰქონოდათ საუბარი მხარეებს, იურიდიული პროცედურების გამოყენებით რომ განხილულიყო მათი საქმე, რაც მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების სიმყარეს განაპირობებს.

ამრიგად, მედიაცია დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებთან შედარებით იმითი იგებს, რომ უპირატესობა ასეთ დროს ენიჭება მხარეთა შორის მორიგების მიღწევის ავტონომიურ ფორმას. მაგრამ ავტონომია თავისთავად როდი არის მედიაციის წარმატების რეცეპტი, რადგან დავის მონაწილეები, რომლებიც მოლაპარაკების წესებს არ იცავენ და ყოველგვარ ზღვარს გადადიან, ძალზედ იშვიათად ერიდებიან კონფლიკტის ესკალაციის და ქცევის იმავე მოდელს მისდევენ, რომელიც მათ აირჩიეს ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დაწყებამდე. ამ სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია მარტოოდენ მესამე პირის ჩართვით და მისთვის მხოლოდ და მხოლოდ პროცესის წარმართვის უფლებამოსილების გადაცემით, როგორც ეს ხდება მოდერაციის დროს. პირიქით, თუ მხარეებმა მიმართეს მედიატორს, ეს მეტყველებს იმ გარემოების სასარგებლოდ, რომ მიუხედავად მხარეთა ნების თავისუფლებისა, ისინი მზად არიან შეხვდნენ მოლაპარაკების მიზნით.

მედიაციის პროცედურის წარმატება მდგომარეობს მის განსაკუთრებულ გაფორმებაში. მედიაციის ფორმალური სტრუქტურა აგებულია იმგვარად, ყველა შესაძლო შედეგიდან ის ხელს უწყობს ყველაზე ხელსაყრელი შედეგის დადგომას:

მხარეთა ერთიანი მყარი თვალსაზრისის შემუშავებას. მედიატორი არ ახდენს პირდაპირ გავლენას დავის შინაარსზე, ის ახდენს მხოლოდ პროცესის ორგანიზებას. მედიატორი აღადგენს კავშირს მოდავე მხარეთა შორის, ხელს უწობს მათ ურთიერთ გაგებას რის შედეგადაც იზრდება, მატულობს მხარეთა კრეატიულობა და საერთო პოზიციის მონახვის მზაობა და ყველა შესაძლო შედეგიდან წინა პლანზე გამოდის ყველაზე უფრო ოპტიმალური გადაწყვეტილება. ამის პირობაა არჩეული პროცედურის, მედიაციის პრინციპების ზუსტად დაცვა და მოლაპარაკების წარმოების სპეციალური ტექნიკის გამოყენება.

ზოგადად მედიაციის სახეების განსხვავებას განაპირობებს სპეციალიზაციის, კონკრეტული საქმის გარემოებები, მედიატორის პირადი სტილი. ამიტომ დოქტრინალურად იმის ჩამოყალიბება, თუ ზუსტად როგორ უნდა განხორციელდეს ან მიმდინარეობდეს მედიაცია, შეუძლებელია. თუმცა არსებობს ისეთი მინიმალური მოთხოვნები, როგორიც არის მაგალითად მედიატორის ნეიტრალურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მხარეებს უნდა გააჩნდეთ. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ მედიატორს არ გააჩნია საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლამოსილება (სსსკ-ის187[7]-ე მუხლის თანახმად თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მხარეთა მორიგების დამტკიცების განჩინება სასამართლოს გამოაქვს და არა მედიატორს). აგრეთვე უნდა არსებობდეს ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო ელემენტები, როგორიც არის ნებაყოფლობითობა, ინფორმირებულობა და დავის გადაწყვეტის შედეგისადმი გააზრებული დამოკიდებულობა. ზემოთხსენებულ კრიტერიუმთაგან თუ სახეზე არ იქნება ერთი ან ორი კრიტერიუმი, მედიაციის შესახებ უკვე საუბარი არ შეიძლება იყოს, თუმდც ცალკეულ შემთხვევაში კიდევ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ სახეზეა „მოლაპარაკებები მედიაციის ელემენტებით“.

ზოგადი წესის მიხედვით მედიაციაში შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი ეტაპები: 1) წინასწარი სტადია: მედიაციის პროცედურის დაწყება და ორგანიზება, საკითის გადაწყვეტა თუ რამდენად „გამოსადეგია“ მედიაციის პროცედურა დავის გადასაწყვეტად. 2) სადამფუძნებლო სტადია: პროცედურის შესახებ ინფორმირებულია მხარეები დებენ მედიაციის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებას. 3) ძირითადი სტადია: პრობლემის გადაწყვეტა ცალკეულ საკითხებზე. 4) დასკვნითი სტადია: შეთანხმების მიღწევა, საბოლოო ნორმების (წესების) განსაზღვრა.

თავისთავად ცხადაი, რომ მედიაციის პროცედურა შეიძლება მიმდინარეობდეს სხვა სქემითაც. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ყველა ძირითადი სტადია ერთმანეთს მოსდევს ლოგიკურად დადგენილი თანმიმდევრობით.

ამდენად მედიაცია არის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის არსებული პრობლემის ერთოლივად გადაწყვეტის პროცესი. საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო მედიაციის ვადას. ეს არის 45 დღე, მაგრამ არანაკლებ ორი შეხვედრისა. ამასთან 187[5]-ე მუხლი დისპოზიციური ნორმაა, რადგან აღნიშული ვადის გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმავე ვადით, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში. კანონი განსაძღვრავს სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგებსაც (187[6] მუხლი) კანონით დადგენილია მედიაციის პროცედურის კიდევ ერთი თავისებურება ეს არის მისი კონფინდეციალურობა. მედიატორს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მხარეს და მის წარმომადგენელს არა აქვს უფლება გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლოს მედიაციის პროცეში კონფიდენციალურობის პირობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი (187[8] მუხლი). სხვა

შემთხვევებში მხარეთა მორიგებისაგან განსხვავებით მედიაციის ფარგლებში მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. იქიდან გამომდინარე, რომ უზრუნველყოფითი იქნეს მედიატორის, როგორც შუამავლის მიუერძოებლობა კანონი ითვალისწინებს მედიატორის აცილებას სსსკ-ის 31 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველით (187[4] მუხლი). თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით. ჩემი აზრით ეს ნორმა არასწორად არის ჩამოყალიბებული, ვინაიდან სასამართლო მედიაცია ამოქმედდება სწორედ სარჩელის შეტანის და საქმის აღძვრის შემდეგ. ამიტომ დავაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მოსარჩელეს აღარ სჭირდება სარჩელის ხელმეორედ წარდგენა, არამედ საქმე უნდა გაგრძელდეს უკვე შეტანილ სარჩელზე.

განხორციელებულმა სამართლებრივ-შედარებითმა ანალიზმა კანადის და სხვა ქვეყნების მაგალითზე გვიჩვენა ,რომ სასამართლო პრაქტიკაში ზოგიერთ დავებზე ხორციელდება სავალდებულო მედიაცია. რაც ჩემი აზრით არ არის მიზანშეწონილი, ვფიქრობ მედიაციის პროცეში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს მხარეთა ნებაყოფლობითობას, ხოლო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მოდავე მხარეებმა. ეს გაზრდის მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავის მოგვარებაში. მედიაციის პროცესის სტატისტიკური ანალიზისთვის ჩემს მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა მედიაციის ცენტრის სტატისტიკა, რომლის თანახმად 2013 წლიდან ამ დრომდე მედიაციას გადაეცა 205 საქმე.აღნიშნული დოკუმენტი დანართის სახით არის წარმოდენილი. მასში ნაჩვენებია წლების მიხედვით მხარეთა მიმართვიანობის და შესაბამისად განხილულ საქმეთა რაოდენობის მაჩვენებელი.

- 2013 წ---------- განხილულია 3 საქმე

- 2014 წ---------- 13
- 2015 წ---------- 27
- 2016 წ---------- 24
- 2017 წ---------- 51
- 2018 წ---------- 51
- 2019 წ---------- 31
- 2020 წ---------- 5

სტატისტიკური ანალიზის საშუალებით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ საქართველოში მედიაციის საკითხი ძალიან დაბალ დონეზეა. იმისათვის რომ მოხდეს სასამართლო მედიაციის ავტორიტეტისა და ცნობადობის ამაღლება, ჩემს მიერ მოხდა საჭირო რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ესენია:

1) მედიატორთა გადამზადება და მედიატორის პროფესიის შემოღება;

2) ონლაინ მედიაციის დანერგვა;

3) მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის საკითხის დახვეწა, რაც იქნება მედიაციისადმი საზოგადოების ნდობის საკითხის ამაღლება.

4) საჭიროა მედიაციის განვითარების საკითხისადმი სახელმწიფოს კომპლექსური მიდგომა.

მე ვფიქრობ ამ რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში მედიაციის მაღალ დონეზე განვითარებასა და დამკვიდრებას, რაც სასარგებლო იქნება როგორც კონფლიქტში მყოფი მხარეებისთვის, ასევე სასამართლო წარმოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. მახარაძე, „კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.
2. ალექსანდრე წულაძე სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში სადისერტაციო ნაშრომი 2016.
3. ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018.
4. ანა გურიელი.დისერტაცია. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში.2019წ
5. გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010.
6. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ.
7. ირაკლი ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები.სადისერტაციო ნაშრომი.თბილისი 2018 წ.
8. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013.
9. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე 2017 წლის 28-29 აპრილი თბილისი, საქართველო.
10. ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჟურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ.

11. მ. ხოფერია, „მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით“, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2011, 1987-76-68 #1,
12. კეკელია „მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე“, ეთნოგრაფიული რვეული, თბ., 1989
13. საქართველოსკონსტიტუცია. საბოლოო ვერსია. თბილისი 2019წ. მუხლი 31. 101 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
15. სტივენ მ.ოსტერმილერი და დილერ რ. სვენსონი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში. გამომცემლობა მერიდიანი.
16. შალვა, ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: 2015. მერიდიანი

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. BOULLE L 1998. Mediation: Principles, process, practice. Chatswood: LexisNexus. 2012. Promoting rights through court-based ADR? South African Journal on Human Rights 28(1):1-17.
2. Court-annexed mediation is provided for in the Supreme Court Regulation No. 1 of 109DiSAC “Mediation accreditation standards” 2011:3 commission-for-conciliationmediation-and-arbitration-ccma. 120 Act 66 of 1995.
3. Danny McFadden-Developments in International Commercial Mediation: USA, UK, Asia, India and the European Union. 2017წ. 80Labour Protect n.d. “Rules for the conduct of proceedings the European Union. 2017.
4. Department of Labour “Basic guide to the Commission of Conciliation, Mediation and
5. MARNEVICK C 2015 Mediation practice in the magistrates court. South Africa: LexisNexis.:

6. National Union of Metalworkers of South Africa v Driveline Technologies (Pty) Ltd and Another (J324/97) [1999] ZALC 157 110DiSAC "Comments on the court-annexed mediation rules of the Magistrates' courts'".
7. Tokiso Dispute Settlement "The dispute resolution digest" 2015:49.

ინტერნეტ რესურსი

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=010
2. Arbitration http://www.labour.gov.za/DOL/legislation/acts/basic-guides/basic-guide-to-the-Act-66-of-1995.
3. before he CCMA https://www.labourprotect.co.za/ccma_rules.htm
4. Gould & Elliot 2016 "Mediation guide – the basics" https://www.fenwickelliott.com/research-insight/articlespapers/alternative-dispute-resolution/mediation-guide-basics
5. http://disac.co.za/wpcontent/uploads/2014/12/DiSAC-Comment-on-Court-Annexed-Mediation-May-20131.pdf